# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 20 დეკემბერი. 2023 წ. №143 (9675) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


მრავალჯერ გავეხარებინოთ ქვეყნის წარმატებებს!

ანზორ ჭლიკაძე:

## სახელმწიფო კვდება მაშინ, როცა ხალხი ველარ არჩევს ცუდსა და კარგს!

იხ. 3 გვ.



მთავრობის სადაგი წელიწადი

## ეკონომიკურად მივდივართ წინ, ვამცირებთ სიღარიბეს!



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი 2023 წლის ანგარიშს აბარებს ქართველ ხალხს**

ძვირფასო მეგობრებო, ძვირფასო მკითხველო, ჩემთვის დიდი პატივია, წარმოგიდგინოთ ამ წლის საქმიანობის ანგარიში. მე შევეცდები თავიდან, ერთგვარი შესავლის სახით, ჩვენი ანალიზი გაგიზიაროთ. ასევე გაგიზიაროთ ჩემი შეფასებები იმ ძირითად მოვლენებთან დაკავშირებით, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში და, ზოგადად, რეგიონში. ასევე, ჩემს ანგარიშში შევეხები იმ მიღწევებს, რომლებსაც ჩვენ, მთელმა გუნდმა, მთავრობამ და პარლამენტმა ერთად, მთელმა ხელისუფლებამ, ყველამ ერთად მივაღწიეთ. ასევე მინდა შევეხო გეოპოლიტიკურ ვითარებას, რეგიონში არსებულ მდგომარეობას.

იხ. 2 გვ.

ირმა ჭკადუა:

## სააკაშვილის შეწყალებაზე ხალხი ერთსულოვანია –



5

## არა და არა! არა! არააა!

დავით კუხალაშვილი:



5

## შესაძლოა, უკრაინამ, როგორც სახელმწიფომ, არსებობა შეწყვიტოს!




6

## ჯანჯღავები — გვარის ტრადიციები გრძელდება

## რა უთხრა სტალინს კახელმა მარომ...

იხ. 7 გვ.



144 წლის გენერალისიმუსი - დღესაც ყველაზე პოპულარული

## ...წამლების ფასს ხელოვნურად ზრდიან!

11

# ქვეყანას ვიცავთ ომისგან, ეკონომიკურად მივდივართ წინ, ვამცირებთ სიღარიბეს!



## საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი 2023 წლის ანგარიშს აბარებს ქართველ ხალხს

(პირველი გვერდიდან) **პირველ რიგში, მინდა, დავიწყო მილოცვით კიდევ ერთხელ, ვინაიდან ჩვენმა გუნდმა და მთლიანად ხელისუფლებამ, ჩვენს ხალხთან ერთად მივაღწიეთ უდიდეს გამარჯვებას – ჩვენი ქვეყანა გახდა ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა. ეს არის მრავალი თაობის ოცნების ახდენა. ეს, ბუნებრივია, არ ყოფილა მარტივი და ჩვენ ძალიან ბევრი გამოწვევით აღსავსე პერიოდი, ეტაპი გავიარეთ; ძალიან ბევრი სირთულე გავიარეთ ერთად, ბევრი განსაცდელი, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვიხელმძღვანელეთ ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. ამიტომ მივაღწიეთ ამ შედეგს, მხოლოდ ჩვენი ხალხის ინტერესების გათვალისწინებით ვიმოქმედეთ და მოვედით დღევანდელობამდე.**

2012 წელს ჩაეყარა საფუძველი ჩვენი ქვეყნის რეალურ ევროპეიზაციას, დემოკრატიზაციას. ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცების გზას დაადგა ჩვენი ხელისუფლება მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ" გადაიბარა ჩვენი ქვეყნის მართვის სადავეები. მე ადრეც მითქვამს ძალიან ბევრჯერ, რომ თუ ვინმემ, რომელიმე ხელისუფალმა მიაღწია ძალიან კონკრეტულ შედეგს ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე, ეს არის სწორედ „ქართული ოცნება" – დაწყებული ჯერ კიდევ ასოცირების შეთანხმების გაფორმებით, თავისუფალი ვაჭრობა, უვიზო რეჟიმი, შემდეგ კონსტიტუციაშიც კი აისახა ჩვენი გაცხადებული საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი და დაგვირგვინდა ჯერ შარშან, ევროპული პერსპექტივის აღიარებით და უკვე წელს ერთგვარი დამაგვირგვინებელი შედეგი იყო კანდიდატის სტატუსის მოპოვება. მე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ მადლობა ვუთხრა ჩვენს ევროპელ და ამერიკელ მეგობრებს, პარტნიორებს, თითოეული თქვენგანის როლი არის ძალიან მნიშვნელოვანი, ძალიან მნიშვნელოვანი იყო თითოეული თქვენი ხმა და თქვენი მხარდაჭერა; დღემდე გრძელდება დამანგრეველი ომი უკრაინაში. მას შემდეგ, რაც ეს ომი დაიწყო უკრაინაში რუსეთის ფედერაციამ, უკრაინის ტერიტორიის 20% უკვე არის ოკუპირებული და ჩვენ ვხედავთ, რომ დღეს ომი არ წყდება. ასიათასობით ადამიანი უკვე დაიღუპა, მილიონობით ადამიანმა დატოვა უკრაინის ტერიტორია - 10 მილიონზე არის საუბარი, 10 მილიონმა უკრაინელმა დატოვა უკრაინა და ერთი ამდენივე, 10 მილიონზე არის საუბარი, რომ შიდა მიგრაცია, გადაადგილება, მოხდა. ეს არის ტრაგედია.

ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ამ ომის შედეგად იცვლება ის მთავარი, ასე ვთქვათ წესები, რომელზეც არის დაფუძნებული, ზოგადად, მთელი მსოფლიო და, ზოგადად, ის წესრიგი, რომელიც შექმნილი იყო მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ჩვენ ამის მცდელობას ვხედავთ. მცდელობას იმისა, რომ შეიცვალოს მსოფლიო წესრიგი. არავინ არ იცის ზუსტად როგორ დასრულდება ეს ომი და რა შედეგები ექნება ამ ომის დასრულებას მთლიანად ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურაზე, ჩვენს რეგიონზე; როგორ ჩამოყალიბდება ახალი მსოფლიო წესრიგი. გამოწვევა სახეზეა, ჩვენ ეს გამოვიარეთ 2008 წელს. აგვისტოს ომი იყო, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი ტრაგედია ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნისთვის. მინდა ასევე აღვნიშნო, რომ, სამწუხაროდ, მაშინდელმა უპასუხისმგებლო მთავრობამ ვერ მოახერხა ამ ომის თავიდან არიდება.

**ჩვენი ყველაზე დიდი განსაცდელი, რაც შეიძლება ერს, ჩვენს ხალხსა და ჩვენს ქვეყანას დაატყდეს თავს, არის ომი; ეს ყველაზე დიდი განსაცდელი თავიდან ავარიდეთ და ავირიდეთ. ავიცილეთ ომი და მშვიდობიანად, გონივრულად და მტკიცედ გავიყვანეთ სამშვიდობოზე. ჩვენ ეს გამარჯვება ერთად მოვიპოვეთ. რა თქმა უნდა, მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ეს რისკები მთლიანად არის განეიტრალებული. ბუნებრივია, ეს რისკები არსად არ წასულა, ჩვენ მაქსიმალური სიფრთხილით და გონიერებით ვაფასებთ რისკებს, ვახდენთ საფრთხეების იდენტიფიცირებას, შესაბამის პრევენციებს ვახორციელებთ და ვიცავთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას, ჩვენს ხალხს, ჩვენს ქვეყანას.**



მე ეს არაერთხელ მითქვამს, რომ 2008 წელს რომ ყოფილიყო ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება" ხელისუფლებაში, ეს ომი არ მოხდებოდა. ახლა, რატომ ვამბობ ამას, მკითხველო, ჩვენ კარგად ვიცით და ბოლო პერიოდის განმავლობაში ჩვენს საზოგადოებას ღიად ვესაუბრებოდით იმ რისკების შესახებ, რომლის წინაშეც გვიწევდა ჩვენ გამკლავება. საფრთხე იყო საკმაოდ რეალური, ეს არ იყო მოგონილი, იყო საფრთხე ქვეყნის დესტაბილიზაციის. ქვეყნის შიგნით მოქმედი რადიკალური ჯგუფები და მტრული ძალები, მე არ მოვერიდები ამის თქმას, პირდაპირ იყვნენ დაინტერესებული იმით, რომ ქვეყანა ჩაბმულიყო ამ საომარ ვითარებაში. მე ფაქტებს აღარ გაგახსენებთ, ყველამ კარგად ვიცით ყველაფერი.

ჩვენი ყველაზე დიდი განსაცდელი, რაც შეიძლება ერს, ჩვენს ხალხსა და ჩვენს ქვეყანას დაატყდეს თავს, არის ომი; ეს ყველაზე დიდი განსაცდელი თავიდან ავარიდეთ და ავირიდეთ. ავიცილეთ ომი და მშვიდობიანად, გონივრულად და მტკიცედ გავიყვანეთ ჩვენი ქვეყანა სამშვიდობოზე. ჩვენ ეს გამარჯვება ერთად მოვიპოვეთ. რა თქმა უნდა, მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ეს რისკები მთლიანად არის განეიტრალებული. ბუნებრივია, ეს რისკები არსად არ წასულა, ჩვენ მაქსიმალური სიფრთხილით და გონიერებით ვაფასებთ რისკებს, ვახდენთ საფრთხეების იდენტიფიცირებას, შესაბამის პრევენციებს ვახორციელებთ და ვიცავთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას, ჩვენს ხალხს, ჩვენს ქვეყანას.

ამავდროულად მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ არცერთი წუთით არ დაგვიკლია მცდელობა, რომ ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან კოორდინაციაში არ ვყოფილიყავით, პირიქით, შეიძლება ითქვას, ჩვენ 24-საათიან რეჟიმში ღიად ვთანამშრომლობდით ჩვენს მეგობარ, პარტნიორ სახელმწიფოებთან, ვიყავით სრულ კოორდინაციაში. ვფიქრობ, დღეს შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის რეალური მხარდამჭერები, ჩვენი ქვეყნის პარტნიორები, ევროპელი, დასავლელი, ამერიკელი მეგობრები არიან სრულად ინფორმირებულნი ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკის, ამოცანისა და მიზნის შესახებ და არავითარი კითხვები აღარ არსებობს.

* * *

**მე მინდა შევეხო სანქციების აღსრულების საკითხს.**

**ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც ამ წლის განმავლობაში მუსირებდა და ძალიან ბევრი უსამართლო, უსაფუძვლო ბრალდება მოვისმინეთ ჩვენ ყველამ ერთად, ესეც გაქარწყლებულია. რამდენიმე თვის წინ, მოგეხსენებათ კარგად, რომ ჩამოსული იყო საქართველოში მაღალი დონის დელეგაცია, ამერიკის შეერთებული შტატების სანქციების მთავარი კოორდინატორი – ბატონი ო'ბრაიენი, ევროკავშირის სანქციების კოორდინატორი – ბატონი სალივანი და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი, სანქციების კოორდინატორი, რომელთაც ღიად, საჯაროდ თქვეს, რომ ისინი კმაყოფილნი არიან მთავრობის მიერ შექმნილი ეფექტური სისტემით სანქციების აღსრულების ნაწილში.**

**არცერთი ფაქტი დღემდე არ დაფიქსირებულა სანქციების გვერდის ავლის თუ თავიდან არიდების ან არცერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა ჩვენი ქვეყნის გამოყენების სანქციების ასარიდებლად. ჩვენ მაქსიმალურად ღიად და გამჭვირვალედ ვიმუშავეთ, ვიმუშავებთ და ასე გავაგრძელებთ მომავალშიც. ნებისმიერი ჩვენი გადაწყვეტილება ეფუძნებოდა, კიდევ გავიმეორებ, ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს და ჩვენი ხალხის ინტერესებს, იმას, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა არ დაზიანებულიყო და, მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, ჩვენ მაქსიმალური სიფრთხილით ვმოქმედებდით, რომ რაიმე კითხვა არ გასჩენოდა ჩვენს რომელიმე პარტნიორ ქვეყანას. ეს ასეც მოხდა. ჩვენ, როგორც მოგახსენეთ, ყველა ასეთი საფრთხის დროული იდენტიფიცირება მოვახდინეთ, 1000-ამდე შემთხვევა იქნა იდენტიფიცირებული, 1000-ამდე შემთხვევა სანქციების თავიდან არიდებისა, ოღონდ ეს შეეხებოდა იმ პროდუქციას, რომელიც იგზავნებოდა ევროპიდან რუსეთის მიმართულებით და ჩვენ იმავე წამს, დაუყოვნებლივ, შევატყობინეთ ჩვენს ევროპელ კოლეგებს ამ მცდელობების შესახებ.**

**ასეთი 1000 შემთხვევა გამოვლინდა ჩვენ მიერ ევროპულ სახელმწიფოებში წინასწარ მიღებული ინფორმაციის შესაბამისად და ფინანსთა სამინისტროს მე მინდა მადლობა გადავუხადო – ბატონ ლაშა ხუციშვილს და მის შესაბამის უწყებებს, დროული პრევენციები მოახდინეს.**

* * *

**ახლა რაც შეეხება კონკრეტულ შედეგებს, მე მინდა საზოგადოებას შევახსენო, თუ როგორი ეკონომიკა ჩაიბარა ქართულმა ოცნებამ 2012 წელს. შეგახსენებთ, რომ მაშინ ბიუჯეტის შევსების უმთავრესი გზა იყო ბიზნესის რეკეტი, მაღალი იყო სიღარიბე, თითქმის 30 პროცენტზე მეტი იყო და უმუშევრობაც ამდენივე.**

არავითარი პერსპექტივა ქვეყანაში არ არსებობდა, დემოკრატიაზე ჩვენ, რა თქმა უნდა ცალკე ვისაუბრებთ, მაგრამ ასე ვთქვათ ეკონომიკით რომ დავიწყოთ და პირველი თავი მიეძღვნება ეკონომიკას, ერთგვარი ანალიზი და შედარებითი ანალიზი მინდა გავაკეთო, მაშინ არავითარი პერსპექტივა არ არსებობდა, ბიზნესი იყო აბსოლუტურად დემოტივირებული, არავითარი პროგნოზირებადობა, განჭვრეტადობა არ არსებობდა, პირიქით, ბიზნესს ჰქონდა მხოლოდ ნეგატიური პროგნოზები და მოლოდინები; ქვეყანაში იყო დამყარებული რეალურად ავტოკრატიული, უსამართლო რეჟიმი, რომელიც ჩაგრავდა ჩვენს მოქალაქეებს, ომგამოვლილ მოქალაქეებს. იმ ომგამოვლილ მოქალაქეებს, რომლებიც თავად იმ ხელისუფლებამ ვერ აარიდა საკუთარ ხალხს და შედეგად დღეს საქართველოს 20 პროცენტი არის ოკუპირებული.

ჩვენ ასეთ ვითარებაში შეგახსენებთ, რომ მთელი ქვეყნის ეკონომიკა, მთლიანი შიდა პროდუქტი იყო დაახლოებით 27 მილიარდი ლარი; დღეს, წელს 80 მილიარდი ლარი იყო მთლიანი შიდა პროდუქტი და 2024 წელს გახდება 86 მილიარდი ლარი. ბოლო 11 წელიწადში, „ქართული ოცნების" მმართველობის დროს, ქვეყნის ეროვნული ეკონომიკა 3-ჯერ გაიზარდა, 27 მილიარდი ლარიდან 80 მილიარდ ლარამდე; ბიუჯეტი 2012 წელს იყო 8 მილიარდზე მეტი, დაახლოებით 8 მილიარდ 500 მილიონამდე, გაისად იქნება 28 მილიარდ 700 მილიონი, აქაც თითქმის გავასამმაგეთ ბიუჯეტი ბოლო 11 წელიწადში, 20 მილიარდით გაიზარდა ჩვენი ქვეყნის მთლიანი ნაერთი ბიუჯეტი ბოლო 11 წელიწადში; ეს არის კონკრეტული შედეგი, რომელზეც მინდა ვისაუბრო დღეს თქვენთან ერთად, ასევე მინდა გითხრათ, რომ მხოლოდ 3 წელიწადში, ბოლო 3 წელიწადში, გაიზარდა 30 მილიარდი ლარით მთელი ქვეყნის ეკონომიკა, ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით წელს უკვე 8100 დოლარს შეადგენს მთლიანი შიდა პროდუქტი და 2024 წელს 8500 დოლარს გადააჭარბებს. ბოლო ორი წელი იყო ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ჩვენ ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვქონდა, წელსაც მიუხედავად აი ამ დიდი გამოწვევა-კატაკლიზმებისა, რომელიც ხდება ჩვენს რეგიონსა და მთელ მსოფლიოში მაშინ, როცა წამყვანი ეკონომიკების ეკონომიკა მცირდება და ბევრგან ვარდნაა სერიოზული, ჩვენ მოვახერხეთ ბოლო ორი წელი 10 პროცენტზე მეტით გაგვეზარდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, წელს 7 პროცენტის ფარგლებში გვაქვს ეკონომიკური ზრდა, ინფლაციის სრუ-

ლი, ასე ვთქვათ, კონტროლი მოვახერხეთ; ინფლაცია სამიზნე მაჩვენებელს ქვემოთ არის, 1 პროცენტზე ქვემოთ ჩამოვიდა ინფლაცია, ეს წნეხი მთლიანად მოიხსნა და შარშან, რაც გვქონდა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის ფასები და ინფლაციის ზრდა, ეს რისკებიც, საფრთხეც მთლიანად მოხსნილია. შეიძლება ამაყად ითქვას, ამ წლის მუშაობის შედეგი არის სწორედ ინფლაციის მართვა და კონტროლი, ასევე მინდა გითხრათ, რომ მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციით საქართველო გადავიდა საშუალოზე მაღალი შემოსავლის ქვეყნებს შორის. პროგნოზების თანახმად, უკვე 2028-2030 წლებში საქართველო დაუახლოვდება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ე.წ. მედიანურ სტანდარტს, ანუ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების იმ დონეს (მსყიდველუნარიანობის გათვალისწინებით), რაც დაახლოებით საშუალოდ დღეს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს აქვთ.

რაც შეეხება, ზოგადად, დასაქმებულთა რაოდენობას და ხელფასებს, ვფიქრობ, საინტერესო იქნებოდა, აქაც შეგვედარებინა – 2012 წელს საშუალო ხელფასი, დასაქმებულთა საშუალო ხელფასი იყო დაახლოებით 750 ლარი. 1850 ლარამდე არის გაზრდილი, ანუ 2.5-ჯერ გაიზარდა დასაქმებულთა საშუალო ხელფასი ბოლო 11 წელში.

ასევე ანალოგიურ პერიოდში, ბიზნესსექტორში საშუალო ხელფასი 2012 წელთან შედარებით 2.5-ჯერ არის გაზრდილი, 780 ლარიდან 2000 ლარამდე.

მთავრობის ვალის მაჩვენებელი 38.2%-ამდე ჩამოვიდა. მე შეგახსენეთ, რომ 3 წლის წინ უკვე 60%-ს გადააჭარბა მთავრობის ვალმა და ჩვენ ეს ბოლო სამ წელიწადში, მაქსიმალურად მოკლე პერიოდში, შევძელით – მთავრობის ვალის მკვეთრი შემცირება.

ბიუჯეტის დეფიციტს ჩვენ, რა თქმა უნდა, ვინარჩუნებთ; დაბალ დეფიციტს ვინარჩუნებთ, წელს იყო 2.8 %, გაისად იქნება 2.5 %.

ასევე მინდა მოსახლეობას, ჩვენს საზოგადოებას ვუთხრა, რომ, ზოგადად, მოსახლეობის შემოსავლების ზრდის მნიშვნელოვანი ინდიკატორი არის შემდეგი მონაცემი, აი, მაგალითისთვის 2012 წლის დეკემბერში, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები შეადგენდა 14.4 მილიარდ ლარს, ხოლო წელს, სექტემბრის თვეში, 75 მილიარდი ლარი იყო საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები, 75 მილიარდი ლარი. 14 მილიარდიდან 75 მილიარდამდე გაიზარდა სულ რაღაც 11 წელიწადში. ეს არის 400%-ზე მეტი ზრდა, რა თქმა უნდა, კურსის ეფექტის ჩათვლით. ასევე 2012 წლის დეკემბრისთვის, საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული არასაბანკო დეპოზიტების მოცულობა, ეს ძალიან საინტერესო მონაცემებია სხვათა შორის, ეროვნული ვალუტით შეადგენდა 2,8 მილიარდ ლარს, ხოლო უცხოური ვალუტით – 4,9 მილიარდ ლარს; წელს, ოქტომბერში – ეროვნული ვალუტით 24.7 მილიარდი ლარი და უცხოური ვალუტით 25 მილიარდი ლარით არის შეფასებული. დეპოზიტები ეროვნული ვალუტით 800%-ით არის გაზრდილი და უცხოური ვალუტით 400%-ით გაიზარდა – ჩვენი მოქალაქეების შემოსავლები და დეპოზიტები.

**ეს რას ნიშნავს, ძვირფასო მკითხველო? ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა ვითარდება სწორი გზით, ქვეყნის ეკონომიკა იზრდება სწრაფად, ქვეყანა და ჩვენი მოსახლეობა მდიდრდება.**

ასევე შედარებისთვის მინდა გითხრათ, რომ 2003-2012 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, წლიურად საშუალოდ 950 მილიონი დოლარი იყო, 2013-2022 წლებში ეს რიცხვი 1.5 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა, აქაც თითქმის 60%-იანი ზრდაა ბოლო 11 წელიწადში.

2022 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2012 წელთან შედარებით გაზრდილია 2-ჯერ და შეადგინა 2.1 მილიარდ აშშ დოლარი.

2012 წელს უმუშევრობის დონე იყო 27% დაახლოებით. შარშან უმუშევრობის დონე ისტორიულ მინიმუმამდე -17%-ამდე შემცირდა, ასევე შემცირდა სიღარიბე და მიაღწია ისტორიულ მინიმუმს, 15%-ამდე ჩამოვიდა სიღარიბე. წელს, სამივე კვარტალში უმუშევრობის დონის შემცირების ტენდენცია გაგრძელდა. და მესამე კვარტლის მდგომარეობით, კვარტალურ ჭრილში რომ ვთქვათ, დასაქმების მაქსიმალური მაჩვენებელი და უმუშევრობის მინიმალური დონე ფიქსირდება. უმუშევრობის დონე მცირდება სამუშაო ძალისა და დასაქმების ზრდის პარალელურად; წელს, მაგალითად, მესამე კვარტალში უმუშევრობის დონე 15.6 % იყო, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობამ მილიონ 366 ათასს მიაღწია, რაც ასევე რეკორდულია!

**ბოლო 11 წლის განმავლობაში სიღარიბე, ფაქტობრივად, განახევრდა. 2012 წელთან შედარებით ნახევარ მილიონზე მეტმა ადამიანმა დააღწია თავი სიღარიბეს.**

ეს არის „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მმართველობის კიდევ ერთი კონკრეტული შედეგი.

ბიზნესსექტორში სამუშაო ადგილების რაოდენობა 2022 წელს, 2012 წელთან შედარებით, გაზრდილია 1.5-ჯერ - 245 ათასით.

მესამე კვარტალში ბიზნესსექტორში სამუშაო ადგილების რაოდენობა ასევე გაიზარდა. მოქმედი ბიზნესსუბიექტების რაოდენობა 2022 წელს, 2012 წელთან შედარებით, 71%-ით არის გაზრდილი – 119 ათასიდან 205 ათასამდე გაიზარდა.

ახლადრეგისტრირებულ ბიზნესსუბიექტთა რაოდენობა შარშან, 2012 წელთან შედარებით, თითქმის გაორმაგდა – 40 ათასიდან 77 ათასამდე.

ბიზნესსექტორის ბრუნვის მონაცემები მინდა გაგიზიაროთ, 2012 წელთან შედარებით 4-ჯერ გაიზარდა ბიზნესსექტორის ბრუნვა, 42 მილიარდი ლარიდან 181 მილიარდ ლარამდე.

ეს არის ბოლო 10-11 წლის მონაცემები, შედარება რომ გავაკეთოთ...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# სახელმწიფო კვდება მაშინ, როცა ხალხი ვეღარ არჩევს ცუდსა და კარგს!



## მრავალჯერ გავეხარებინოთ ქვეყნის წარმატებებს!

**უკრაინასა და ისრაელში მიმდინარე დაუნდობელ, სასტიკ ომში უდანაშაულო ადამიანთა განადგურებით გამოწვეული გულისტკივილი და გლობალური ომის რეალური საშიშროება, გუნებრივია, ფონად გასდევს ყველაფერს, რაც კი ჩვენ გარშემო ხდება. მიუხედავად ამისა, თუ სამშობლოს ბედი გადარდებს, არ შეიძლება არ გაგიხარდეს ის, რომ შექმნილი გარემოებების გამო რთულ ვითარებაში აღმოჩენილმა ევროკავშირმა, საქართველოსთვის წევრობის კანდიდატის სტატუსის მონიჭებით, მიიღო ჩვენი და თავად ევროკავშირის მომავლისთვის სასიკეთო, პოლიტიკური გადაწყვეტილება, რაც, რა თქმა უნდა, მოსალოცი ისტორიული მოვლენაა და დიდი მადლობა მათ, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ქვეყნის შინ თუ გარეთ ამ დღის დადგომაში.**

ეს ფაქტი, იმისგან დამოუკიდებლად თუ როგორ შეიძლება წარმოიდგინოს ვინმემ საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის დამსახურებულად მინიჭების მნიშვნელობა, ვგონებ, უტყუარად მიგვანიშნებს:

**1. ქვეყნის მნიშვნელოვან წინსვლასა და ჩვენი ხალხის დიდ პოტენციალზე;**

**2. „ქართული ოცნების“ მიერ განხორციელებული, 11-წლიანი საშინაო და საგარეო პოლიტიკის გონივრულობაზე;**

**3. ევროკავშირისა და საქართველოს ამჟამინდელი ინტერესების თანხვედრასა და საერთო მომავლის რეალურ შესაძლებლობაზე;**

**4. დესტრუქციული ოპოზიციის მიერ სტატუსის მონიჭების პროცესის შეფერხებისთვის განხორციელებული მოღალატეობრივი მცდელობების მარცხზე და ჩვენი საზოგადოების სიჯანსაღეზე;**

**5. იმაზეც, რომ ევროკავშირის საღად მოაზროვნე, პასუხიმგებლიანი, საკუთარი ქვეყნებისა და კავშირის ინტერესებისთვის მოქმედი პოლიტიკოსები იმარჯვებენ, რაც არანაკლებ სასიხარულოა, ევროპული ფუნდამენტური ღირებულებების გაუფასურებისთვისა და ევროკავშირის დამაზიანებლად მოქმედ იმ პოლიტიკოსებზე, რომლებიც ცდილობენ შეგვაგუონ იმ აზრს, რომ ანგარების თუ მცირე პოლიტიკური სარგებლის გამოც კი სიკეთის ბოროტებად – და პირიქით – გამოცხადება, ორმაგი სტანდარტები, შეთხზული ბრალდებების ფაქტებად გასაღება, ობიექტურობასა და ზნეობაზე დემონსტრაციულად უარის თქმა, შანტაჟი და თაღლითობა ევროკავშირის ბიუროკრატიისთვისაც, ძველი ევროპული სახელმწიფოების მმართველთა დარად, თითქოს ჩვეულებრივი ამბავია.**

ალბათ, სხვაგვარად გაჭირდება აიხსნას მთელი რიგი პოლიტიკოსის მიერ ჩვენს პარლამენტში ექსტრემისტთა ძალადობრივი შეჭრის მცდელობების მხარდაჭერა; ევროკავშირის წევრობის კანდიდატთა სამეულიდან საქართველოს უსამართლო გამოცალკევება;

ჩვენგან კანონის უზენაესობაზე უარის თქმის და კანონიერად მსჯავრდებულ პირთა განთავისუფლების მოთხოვნა;

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლისგან, პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის აშკარა ნიშნებზე თავშეკავების რჩევა და უკრაინის ხელისუფლების ოფიციალურ პირებისგან საქართველოს ომში ჩართვისკენ საჯარო მოწოდებების უბრალო ხმაურად და რუსულ პროპაგანდად შემოსაღების მცდელობა (კიდევ ერთი მაგალითი იმისა, რომ თანამდებობრივი სტატუსი არ არის საკმარისი ფაქტების მნიშვნელობის ობიექტური შეფასებისთვის); ნაციონალური მოძრაობის ანტიკონსტიტუციური ხერხებით გაძლიერებისთვის შექმნილი, შარლ მიშელის სახელით ცნობილი ხელშეკრულების თავზე მოხვევის მონდომება; რეაქციული ოპოზიციის განუყოფელ ნაწილად ქცეული, ქვეყნის დამაზიანებელი, ცრუ შეფასებების წამქეზებელი, რიგი ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციის ჭეშმარიტების წყაროდ გასაღება და უხვი, შენიღბული დაფინანსება და ა.შ...

ალბათ, კარგა ხანი გვემახსოვრება ევროკავშირის დამაზიანებელი და მთელი რიგი პოლიტიკოსის დეგრადაციის დამადასტურებელი, ყიდვა-გაყიდვის საგნად ქცეული რეზოლუციები და განცხადებები და ისიც, თუ როგორ არ უფრთხილდებიან საკუთარ რეპუტაციას შეკვეთების შესრულებისას, თითქოს დამოუკიდებელი და მაღალი ავტორიტეტის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგალითად არასამთავრობო ორგანიზაცია „ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტი“, რომელმაც პრესის თავისუფლების საერთაშორისო პრემიით დააჯილდოვა ნიკა გვარამია, მიუხედავად იმისა, რომ ძნელად თუ მოიძებნება მსოფლიო ჟურნალისტებს შორის ვინმემ, ვინც მასზე მეტი ზიანი მიაყენა სიტყვის თავისუფლებას, ასევე გავლენიანი გამოცემა The Politico, რომელმაც ჩვენთვის კანდიდატის სტატუტის მონიჭებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ორი კვირით ადრე, გაავრცელა აშკარა დეზინფორმაცია! მაღალი ალბათობით, იგივე ხასიათისაა ჩვენი პრეზიდენტის ყოველგვარ ზღვარს გადაცილებული მოქმედებები და გამონათქვამები, ასევე შეწყალების მნიშვნელოვანი უფლების სამართლის აბუჩად აგდებისა და სათავისო გარიგებებისთვის გამოყენება. ისეთი დაჟინებით არწმუნებდნენ პრეზიდენტის წარმომადგენლები საკონსტიტუციო სასამართლოს პრეზიდენტის მიერ მთავრობის უფლებამოსილებების მიტაცების კანონიერებაში, რომ შეიძლება, ივარაუდო: იქნებ, ქვეყნის მართვის რეალური ბერკეტები რომ არ ჩააბარეს, ამის გამოა ასერიგად განაწყენებული „ქართულ ოცნებაზე“ ქალბატონი სალომე. ვინ წარმოიდგენდა, საფრანგეთის ქართველ ემიგრანტთა სათვისტომოს თავმჯდომარის ოჯახში გაზრდილი და რიგითი ფრანგი დიპლომატი თუ არ მოისურვებდა ჯეროვნად შეეფერებინა საქართველოს პრეზიდენტის საპატიო სავარძელში ჩაბძანება და პირდაპირ ქვეყნის ინტერესების დაზიანებას შეუდგებოდა. ასეა თუ ისე, ეტყობა, იმდენად გაიტაცა სალომე ზურაბიშვილი სამომავლო, პოლიტიკურ თუ სხვა გარანტიების მოპოვებაზე ზრუნვამ, რომ დაეკარგა საკუთარი თავის პატივისცემაც კი.

იხ. 4 გვ.



განა შარლატანის გარდა ვინმემ შეიძლება იკადროს საჯაროდ იმის თქმა კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით, რომ „ქართული ოცნება“ ხელის შეშლის მეტს არაფერს აკეთებდა, მაგრამ დღეს მათ წააგეს ქართველ ხალხთან“



## საახალწლო მიღებაზე, პრემიერთან

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, მეუღლესთან ნუნუკა თამაზაშვილთან ერთად, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გუშინ საახალწლო მიღებაზე უმასპინძლა.**

ირაკლი ღარიბაშვილმა დიპლომატებს დამდეგი დღესასწაული მიულოცა და მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. საზეიმო მიღებაზე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

## ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა ძლიერდება

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და საზოგადოებრივ საქმეთა ფედერალურ მინისტრს, ნენსი ფეზერს შეხვდა,** – ამის შესახებ ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, შეხვედრაზე საუბარი საქართველოსა და გერმანიას შორის არსებულ ურთიერთობებსა და თანამშრომლობის პერსპექტივებს შეეხო. პრემიერმა ხაზი გაუსვა გერმანიის მნიშვნელოვან როლს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების პროცესში. მთავრობის მეთაურმა გამოჩენილი მხარდაჭერისათვის გერმანიის ფედერალური კანცლერის ოლაფ შოლცისადმი განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის მიგრაციისა და მობილობის შესახებ შეთანხმების მნიშვნელობას. აღინიშნა, რომ შეთანხმება მიზნად ისახავს შრომითი მიგრაციისა და განათლების მიმართულებით საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის თანამშრომლობის გაძლიერებას. განიხილეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გერმანიის სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საკითხები.



## საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების საყოველთაო დაცვას...

**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა შეხვედრა გამართა გერმანიის შინაგან საქმეთა ფედერალურ მინისტრთან ნენსი ფეზერთან, რომელიც საქართველოში ოფიციალური სამუშაო ვიზიტით იმყოფება.**

შეხვედრის ფარგლებში ხელი მოეწერა საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის მიგრაციისა და მობილობის შესახებ შეთანხმებას. შეთანხმება მიზნად ისახავს შრომითი მიგრაციისა და განათლების მიმართულებით საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის თანამშრომლობის გაძლიერებას, ამასთანავე ქართველი სტუდენტებისა და მკვლევარებისთვის მეტი ინტენსივობით განხორციელდება საგანმანათლებლო და სტაჟირების პროგრამები.

შეთანხმება აგრეთვე ითვალისწინებს არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, რაც გულისხმობს თანამშრომლობის განმტკიცებას საქართველოს იმ მოქალაქეთა რეადმისიის და რეინტეგრაციის უზრუნველყოფის მიმართულებით, რომლებიც უვიზო მიმოსვლის რეჟიმს დაარღვევენ. ვახტანგ გომელაურმა ყურადღება გაამახვილა გერმანიის მიერ საქართველოს უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნების სიაში შეყვანის მნიშვნელობაზე და ხაზი გაუსვა, რომ გერმანიის მთავრობის მხრიდან მიღებული ეს გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველო არის დემოკრატიული ქვეყანა, რომლის სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებების სათანადო დაცვას. შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ ორ სახელმწიფოს შორის თანამშრომლობა უახლოეს მომავალში კიდევ უფრო ინტენსიური გახდება, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ზემოხსენებული შეთანხმება.

# სახელმწიფო კვდება მაშინ, როცა ხალხი ვეღარ არჩევს ცუდსა და კარგს!

(მესამე გვერდიდან)

ეს მოვლენა ერთობ დამაფიქრებელია.

ეს, რაც საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა დანამდვილებით იცის, თორემ სხვა მაგალითებიც მრავლად მოიძებნება. ამ ყველაფრის დამკვეთი კი, აშკარაა, ვეღარ ახერხებს დაიქირაოს სასურველი შედეგების უზრუნველმყოფი შემსრულებლები.

კიდევ კარგი, რომ ეს ასეა!

**რამდენად მეტად წინ ვიქნებოდით იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის სათავეში არ აღმოჩნდებოდა ისეთი ბნელი პიროვნული თვისებების (მაკიაველიზმი, სადიზმი, სიხარბე, ავხორცობა...) მატარებელი პირთა ჯგუფი, რომელიც 2003 წლის 23 ნოემბერს მოგვევლინა (მოგვივლინეს!) და ნაცვლად ქვეყნის მტრად ქცეული და ხელისუფლების საფუძვლიანი კრიტიკის უნარის არმქონე ოპოზიციის, ქვეყნის გაძლიერებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების კიდევ უფრო ეფექტური განსახორციელებლად შესაძლებელი პროგრამის ჩამომყალიბებელი, ამომრჩეველთა უმრავლესობის ნდობის მოპოვებისა და ამ გზით ხელისუფლების შენაცვლების პოტენციალის მქონე ან ხელისუფლების საქმიანი კრიტიკის ფასის მცოდნე და კომპეტენტური ოპოზიცია გვეყოლებოდა?!**

თავისთავად ცხადია, არსებული დესტრუქციული ოპოზიციის წარმომადგენლები და მათი აქტიური მხარდამჭერებიც ჩვენივე საზოგადოების ნაწილია, ჩვენივე სერიოზული ნაკლოვანებების ნაყოფია და რადგან, როგორც ჩანს, ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური ცნობიერება მაღლდება, იმედია, მომავალში მაინც ვიხილავთ ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელ, მოქალაქეთა მიერ შექმნილ ახალ, განსხვავებული იდეოლოგიის მქონე ევროპული ტიპის პოლიტიკურ პარტიებს. თუმცა, მაინც მეეჭვება, რომ ეს ახლო მომავალში მოხდეს. მით უმეტეს, როცა არა ვინმე დილეტანტი, არამედ პროფესიონალი პოლიტოლოგი, რომელმაც, წესით, უნდა იცოდეს არსი ცნობილი გამოთქმისა – „არასწორი მიმართულებით მაღალი ეფექტურობით მოძრაობა უარესია, ვიდრე საერთოდ ერთ ადგილზე გაჩერება“, თავს იწონებს ასეთი საჯარო განცხადებით: „მოგახსენებთ, დღეს ციხეში იმყოფება არა მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი, არამედ დღეს პატიმრობაშია ის იდეები და რეფორმები, ის წინსვლა, რომელიც გამოწვეული იყო ვარდების რევოლუციის შედეგად. რა თქმა უნდა, იყო ბევრი შეცდომა, ბევრი სუსტი მხარე, მაგრამ, საერთო ჯამში, 2004-2012 წლებში საქართველო, როგორც სახელმწიფო, იყო ბევრად უკეთესი, ვიდრე ის არის დღეს“ (ნ. ჩიტაძე).

რა შეიძლება ითქვას ამ შეფასების შესახებ, გარდა იმისა, რომ ადამიანებში ფაქტების შეუსაბამო აღქმების დამკვიდრების ასეთი მცდელობა, მტრული პროპაგანდის ერთ-ერთი თვალნათელი მაგალითია ისევე, როგორც ქართული სახელმწიფოსთვის საჭირო და სასარგებლო საქმის რუსულად მონათვლა. იოლი წარმოსადგენია, თუ რა მონდომებით ასწავლიან ამდაგვარი აზრების მქონე პროფესორები თავიანთ სტუდენტებს ფსევდოლიბერალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის „სიკეთეებს“! არ მგონია, რომ ისინი აცნობიერებდნენ მათ გამოთაყვანების ტექნოლოგიების საშიშროებებსა და უგუნურებად დარჩენის სურვილს, ასევე იმას, თუ ვის მიზნებს ემსახურება ყოველივე... ალბათ, მათ, ვისაც ევალება ჩვენი მომავალი თაობების სიჯანსაღეზე ზრუნვა, იციან საგანმანათლებლო დაწესებულებებში (სისტემაში, რომელმაც, ისედაც უმნიშვნელოვანესი ფუნქციის გარდა, სერიოზული წვლილი უნდა შეიტანოს ევროკავშირში გაერთიანების საქმეში) ჩანერგილ იდეოლოგიურ დივერსანტთა სიმრავლის შესახებ, რამდენ ახალგაზრდას მოუწამლეს უკვე და, კიდევ რამდენჯერ მეტს მოუწამლავენ გონებას!

ჩვენს წელთაღრიცხვამდეც კი იცოდნენ, რომ **„სახელმწიფო კვდება მაშინ, როცა ვეღარ არჩევს კარგ ადამიანებს ცუდებისგან“. (ანტისფენი ათენიდან).** ღმერთმა ნუ ქნას, ხელისუფლების ნაცვლად, განრისხებული ხალხის მოსაგვარებელი გახდეს ეს პრობლემა. პოლიტოლოგიის სფეროში „მოღვაწე“ მეცნიერი რომ ამჯობინებს სააკაშვილის პრეზიდენტობის დროინდელ საქართველოს დღევანდელს (დარწმუნებული ვარ, თავადაც იცის, რომ უსინდისოდ ტყუის), რა გასაკვირია, იგივე იქადაგონ სააკაშვილის მხარდამჭერებმაც, განსაკუთრებით მათ, ვინც ხეირობდა და სიამოვნებას იღებდა კიდეც ენმ-ს საზარელი მმართველობით!

**განა შარლატანის გარდა ვინმემ შეიძლება იკადროს საჯაროდ იმის თქმა კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით, რომ „ქართული ოცნება ხელის შეშლის მეტს არაფერს აკეთებდა, მაგრამ დღეს მათ წააგეს ქართველ ხალხთან“ (გ.ვაშაძე).** საინტერესო კი ის არის, ვინ არის მრავალი ოპოზიციონერის მიერ ატაცებული, ხალხისა და ხალხის უმრავლესობის მიერ არჩეული ხელისუფლების განცალკევების „ბრძნული კონცეპტუალური შეხედულების“ ავტორი.

აქ კიდევ ერთხელ მომაგონდა ანალოგიური სიბრიყვის შემცველი აზრი, გამოთქმული ნ. ხრუშჩოვის ერთ-ერთი მაამებლის მიერ: **სამამულო ომი მოიგო ხალხმა, სტალინის ნების საწინააღმდეგოდ!**

**ქვეყნის ამ წარმატების შემდეგ, ნაციონალური მოძრაობა და მისი ქვედანაყოფები, რასაკვირველია, კანდიდატის სტატუსის მომდევნო ეტაპების შეფერხების მიზნით, სრულად შეალევენ შემორჩენილ ენერგიას მომავალი არჩევნების დისკრედიტაციის მცდელობებს, ისედაც არსებულზე დაგვიმატებენ გამოგონილ პრობლემებსაც. მიუხედავად ამისა, ეჭვი არ მეპარება, რომ საზოგადოების აქტიური ნაწილი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის უმრავლესობა, მომავალშიც შეინარჩუნებს მოვლენათა ობიექტური შეფასების უნარს, ეროვნულ ღირსებასა და გონიერებას, ხელისუფლება კი კვლავ გაუძლებს წესების გარეშე თავდასხმებსაც, ჯეროვნად უპასუხებს ამ გაიძვერა შარლატანებს, უზრუნველყოფს მშვიდობას, სტაბილურობას, დამოუკიდებლობისა და ეროვნული ინტერესების დაცვის საჭირო ხარისხს, ქვეყნის შემდგომ განვითარებას და ვიხილავთ კიდევ უფრო მეტი სიხარულისა და სიამაყის მომგვრელ გამარჯვებებს.**

**ანზორ ჭლიკაძე**

15.12.23

**„მოგახსენებთ, დღეს ციხეში იმყოფება არა მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი, არამედ დღეს პატიმრობაშია ის იდეები და რეფორმები, ის წინსვლა, რომელიც გამოწვეული იყო ვარდების რევოლუციის შედეგად. რა თქმა უნდა, იყო ბევრი შეცდომა, ბევრი სუსტი მხარე, მაგრამ, საერთო ჯამში, 2004-2012 წლებში საქართველო, როგორც სახელმწიფო, იყო ბევრად უკეთესი, ვიდრე ის არის დღეს“ (ნ. ჩიტაძე).**



სასჯელის დამატება აჯობებს...



## ირმა ჭკადუა:

# სააკაშვილის შეწყალებაზე ხალხი ერთსულოვანია – არა და არა! არა! არააა!



## სააკაშვილის შეწყალება არ ნიშნავს, რომ იგი დატოვებს საპყრობილეს, რადგან მის მიმართ სხვა საქმეებზეც მიმდინარეობს გამოძიება

**თავისუფლების მოედანზე, სადაც საქართველოსთვის ევროკავშირის სტატუსის მინიჭება აღინიშნებოდა, საქართველოს პრეზიდენტის მისვლას ინციდენტი მოჰყვა. სულხან მოლაშვილის და გუტა როგაქიძის ოჯახის წევრემა სთხოვეს სალომე ზურაბიშვილს, მიეცა მათთვის პირობა, რომ არ შეიწყალებს სააკაშვილს, რაზეც პრეზიდენტმა არ უპასუხა და მხოლოდ ის თქვა, რომ მისი პოზიცია საზოგადოებისთვის ცნობილია. ამ პასუხის შემდეგ ზურაბიშვილს გუტა როგაქიძის დედა ია მეტრეველი პრეზიდენტს პირობის დადებას სთხოვდა, რომ არ შეიწყალებს ექს-პრეზიდენტს.**

**„პირობა მომეცით, რომ არ შეიწყალებთ. არ უნდა შეიწყალოთ, იმედი მაქვს, რომ ასე გაგრძელდება და არ შეიწყალებთ“, – მიმართა ია მეტრეველმა, რაზეც პრეზიდენმა უპასუხა: „თქვენ გაქვთ იმედი და საკმარისია“,** – და თავისულების მოედანი დატოვა.

შეიწყალებს თუ არა ზურაბიშვილი მსჯავრდებულ სააკაშვილს, უცნობია, თუმცა არსებული ინფორმაციით, შეწყალების საქმეზე პრეზიდენტი მუშაობს და როგორც For.ge წერდა, ზურაბიშვილის გეგმაზე – შეწყალების აქტი არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე გამოსცეს. ამის შემდეგ გადადგეს და უკვე ოპოზიციური ფრთიდან ჩაერთოს საარჩევნო კამპანიაში.

აღსანიშნავია, რომ **მიხეილ სააკაშვილის** შემთხვევაში, რამდენიმე განაჩენი უკვე სახეზეა და პრეზიდენტს შეუძლია მათზე გამოიყენოს შეწყალების უფლება. იმ საქმეებზე კი, რომლებზეც ჯერ მიმდინარეობს სასამართლო განხილვები, შეწყალების შემთხვევაში, დამატებით აღკვეთის ღონისძიების შეცვლა იქნება საჭირო. თუმცა, სანამ პროკურატურა პატიმრობის აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნით შევა სასამართლოში, ამ დროისთვის სააკაშვილი თავისუფლებაზე იქნება.

ადვოკატი **გელა ნიკოლაიშვილი** აცხადებს, რომ პროკურატურას შეუძლია იმავე დღეს, ან მეორე დღეს შევიდეს სასამართლოში პატიმრობის მოთხოვნით. მისი თქმით, ასეთ შემთხვევაში, როდესაც პირი უკვე არ არის მსჯავრდებული, სხვა საქმეებზე მიმდინარე გამოძიებიდან გამომდინარე, პროკურატურას უფლება აქვს შევიდეს შუამდგომლობით სასამართლოში, რომ მის მიმართ გამოყენებულ იქნას აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა.

**„ეს მას შემდეგ მოხდება, როდესაც გამოცხადდება შეწყალება. სავარაუდოდ, სააკაშვილი რამდენიმე საათი იქნება თავისუფლებაზე. თავისთავად ცხადია, რომ იმ დანაშაულებისთვის და მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ იხილება მსჯავრდების საკითხი, ყველანაირ ლოგიკას და საფუძველს მოკლებულია სააკაშვილის შეწყალება. მაგრამ, თუ ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო პრეზიდენტმა, მისთვის იქნება საზიანო, რადგან ცხადი გახდება მისი პოლიტიკური მდგენელი. მაგრამ ძნელია იმის თქმა, რას იზამს ზურაბიშვილი. მას შემდეგ, რაც სრულიად ურთიერთსაწინააღმეგო ნაბიჯები გადადგა, შეიძლება ყოველ წუთს მოხდეს შეწყალება, მაგრამ შეიძლება საერთოდ არ მოხდეს. ძალიან არაპროგნოზირებადი ქალბატონია. ამიტომ ვერ გეტყვით, რას იზამს“,** – აღნიშნა **გელა ნიკოლაიშვილმა.**

**მიხეილ სააკაშვილის** სათვალავზე ორი განაჩენი და მიმდინარე სამი საქმე ირიცხება. 2018 წელს მიხეილ სააკაშვილს 3-წლიანი პატიმრობა მიესაჯა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით – „სანდრო გირგვლიანის საქმის“ ფარგლებში დაკავებული პირების შეწყალებისთვის. ასევე 2018 წელს, მას 6-წლიანი პატიმრობა მიესაჯა პარლამენტის ყოფილ წევრზე, „ვალერი გელაშვილზე თავდასხმის საქმის“ ფარგლებში. იმავე წელს განაჩენი ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლომ.

2014 წლიდან მიხეილ სააკაშვილს ბრალი ასევე წარდგენილი აქვს საბიუჯეტო თანხის გაფლანგვისა (მათ შორის – ე.წ. პიჯაკების საქმე) და 2007 წლის 7 ნოემბერს „მომიტინგეთა მასობრივი დარბევისა“ და „ხელში ჩაგდების“ მიზნით „ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრის საქმეებთან“ დაკავშირებით. საქართველოში ჩამოსვლისა და დაკავების შემდეგ, ამას ასევე დაემატა მესამე საქმე – საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით. გარდა ამისა, სააკაშვილს ჯერჯერობით ბრალი არ აქვს წაყენებული ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ საქმეზე, კერძოდ დავით გარეჯის გასხვისების საქმეზე.

იმ საქმეებზე, რომელზეც მისჯილი აქვს, შეწყალების ფაქტი ცვლის თუ არა სააკაშვილის მომდევნო ბედს, უკვე იმ სისხლის სამართლის საქმეებთან მიმართებაში რომელთა განხილვა მიმდინარეობს სასამართლოზე, კომენტარს არ აკეთებენ გენერალურ პროკურატურაში.

ადვოკატი **ირმა ჭკადუა** ამბობს, რომ ბრალდების მხარეს აქვს უფლება, რომ პატიმრობა მოითხოვს იმ საქმეზე, რა საქმეზეც არის ბრალდებული. მისი თქმით, შეწყალების უფლება პრეზიდენტს აქვს მხოლოდ და მხოლოდ დამდგარ განაჩენზე. მიმდინარე საქმეზე, სადაც ბრალდებულის სახით სააკაშვილის წინააღმდეგ საქმეები იხილება, რა თქმა უნდა, შეწყალების უფლება პრეზიდენტს არ აქვს.

**„ყველა საქმე რომ იყოს დასრულებული და ის იყოს მსჯავრდებული, ასეთ შემთხვევაში, ეფექტური ინსტრუმენტი იქნებოდა შეწყალება, ვინაიდან ყველა საქმიდან გათავისუფლდებოდა და იქნებოდა შეწყალებული. კონკრეტული საქმის მასალები არ ვიცი და დეტალებზე არ შემიძლია ლაპარაკი. ქალბატონი ზურაბიშვილის ნათქვამი ყველას კარგად ახსოვს. ბუნებრივია, მას აქვს უფლება, რომ შეწყალების აქტი განახორციელოს, თუმცა რატომღაც არ ვარ დარწმუნებული, რომ ქალბატონმა სალომემ ეს არ გააკეთოს. ვერ გეტყვით, ნამდვილად გამიჭირდება ამაზე საუბარი. არ იქნება ეფექტური ეს შეწყალების აქტი და ვფიქრობ, რომ მრჩევლები ვინც ჰყავს, აუხსნიან, რომ ბატონი სააკაშვილის შეწყალება დამდგარ განაჩენზე არ ნიშნავს, რომ დატოვებს საპყრობილეს. იმიტომ, რომ მის მიმართ მიმდინარეობს სხვა საქმეზე გამოძიება და როგორც ვიცი, არ აქვს პატიმრობა შეფარდებული.**

**როცა გამოდის შეწყალების აქტი, ბუნებრივია, ავტომატურად თავისუფლდებიან. დროში როგორ იქნება, ის დატოვებს საპატიმროს და ამის შემდეგ შევა ბრალდების მხარე აღკვეთის ღონისძიების შეცვლის მოთხოვნით სასამართლოში, ეს უკვე ტექნიკური დეტალებია და, ალბათ, ამაზე უფრო პროკურატურამ უნდა ისაუბროს. თუმცა, წინასწარ ვერც პროკურატურა იტყვის, იმიტომ, რომ ეს იქნება ვარაუდი. რთულად საპროგნოზოა, რას იზამს პრეზიდენტი, შემდეგ პროკურატურა და მოგვიანებით, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო“,** – ამბობს **ჭკადუა.**

როგორც ადვოკატი აცხადებს, ადვოკატები ყოველთვის მომხრე არიან ჰუმანური აქტების, ანუ შეწყალების, მაგრამ რაც შეეხება კონკრეტულად მიხეილ სააკაშვილის შეწყალებას, საზოგადოების უმრავლესობა ამაზე ერთმნიშვნელოვნად ამბობს – „არა“.

**„ეს არის ადამიანი, რომელიც თავად არ ითხოვს შეწყალებას და რატომღაც ამ ბოლო ხანებში ქალბატონმა სალომემ შეიწყალა ბევრი ისეთი ადამიანი, რომლებიც არ ითხოვდნენ შეწყალებას და უფრო მეტიც, მხოლოდ და მხოლოდ მისი რეპუტაციის და ღირსების შელახვით იყვნენ დაკავებულები. იცით, დრო რომ გადის, ადამიანების ნაწილს ავიწყდება ის ტკივილი, რაც მათ გამოიარეს. თუმცა, ახალი თაობა გაიზარდა და ბევრი სხვანაირად უყურებს ამ ამბავს. პიარიც კარგად მუშაობს.**

**ჩემი პირადი პოზიციაა, რომ სააკაშვილმა აუცილებად უნდა მოიხადოს სასჯელი, თუმცა მას გააზრებული უნდა ჰქონდეს, რატომ იხდის სასჯელს. ჩვენ ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ვნახეთ სააკაშვილი, რომელიც იტყოდა, რომ მას შეეშალა, ან მიზანმიმართულად ბოდიში მოეხადა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც დატანჯეს, მოკლეს და ა.შ. შესაბამისად, ჩემი აზრით, იგი არ იმსახურებს შეწყალებას. რა თქმა უნდა, პოლიტიკური კონტექსტი თან ახლავს ამ ყველაფერს.**

**დღეს ძალიან ბევრი ადამიანი მიმართავს პრეზიდენტს შეწყალების მოთხოვნით, რომლებიც ინანიებენ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულს, მაგრამ ქალბატონი სალომე მათ არ იწყალებს. შესაბამისად, მას როგორც ვხედავთ, მომავალი პოლიტიკური გეგმები აქვს, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, აღმოჩნდება უხერხულ მდგომარეობაში, მინიმუმ, მის ამომრჩეველთან, ვისთანაც ანგარიშვალდებულია. შესაბამისად, არ ვიცი, რას გეგმავს. მიჭირს ამაზე პასუხი“,** – აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას **ირმა ჭკადუამ.**

**თამთა ქარჩავა**



## დავით კუხალაშვილი:

# შესაძლოა, უკრაინამ, როგორც სახელმწიფომ, არსებობა შეწყვიტოს!

**კრემლი გეგმას არ ცვლის, უკრაინის დენაციფიკაციის ამოცანა აქტუალური რჩება. ამის ფონზე ვოლოდიმირ ზელენსკის ვიზიტმა აშშ-ში უკრაინისთვის დახმარების გამოყოფასთან დაკავშირებით შექმნილი პრობლემა კიდევ უფრო გაართულა. „რესპუბლიკური პარტიისთვის“ მთავარ საზრუნავს საზღვრის დაცვის საკითხი წარმოადგენს. როგორც ირკვევა, ვიზიტის ფარგლებში საერთოდ არ განხილულა პრობლემა, რომელიც უთანხმოების მთავარ მიზეზს წარმოადგენს.**

**ვაშინგტონში ზელენსკის მოკავშირეები ფიქრობდნენ, რომ თუ უკრაინის პრეზიდენტი სწორი სიტყვით გამოვიდოდა, „რესპუბლიკელები“ გვერდზე გადადებდნენ საზღვრის დაცვის საკითხზე მოლაპარაკებებს და დააჩქარებდნენ უკრაინის დახმარების დამტკიცებას.**

**როგორც გამოცემა Foreign Policy წერს, პოლიტიკური გადასახედიდან ეს შეუძლებელია, იმის გათვალისწინებით, რომ საზღვრის დაცვის საკითხი ცხარე პოლიტიკური დისკუსიების საგნად იქცა, განსაკუთრებით წარმომადგენელთა პალატის სპიკერ მაიკ ჯონსონისთვის, რომელიც ცდილობს, შეინარჩუნოს თავისი მყიფე უმრავლესობის ერთიანობა.**

შემცირებული დახმარების მიუხედავად, უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი **ვალერი ზალუჟნი** ახალ კონტრშეტევას გეგმავს. გერმანულ გამოცემა ბილდ-ზე დაყრდნობით იუწყება, რომ უკრაინა, სავარაუდოდ, 2024 წელს მოაგროვებს რესურსებს ახალი ოპერაციებისთვის. როგორც Welt წერს, ზალუჟნი ზაფხულის კონტრშეტევაზე მხოლოდ პოლიტიკური მიზეზების გამო დათანხმდა. მთავარსარდალი არ ხედავდა წარმატების შანსს საკმარისი საჰაერო მხარდაჭერის გარეშე. ამიტომ, მან შეცვალა შეტევა მცირე ქვეითი ჯგუფების თავდასხმისთვის აღჭურვილობის გამოყენებით, რაც ჭკვიანური ნაბიჯი იყო. მცირე დანაყოფებზე თავდასხმით მან თავისი ჯარისკაცები, იარაღის სისტემები დასავლეთიდან შეინარჩუნა და მნიშვნელოვანი დრო მოიგო. როგორც ირკვევა, უკრაინა აგროვებს რესურსებს ახალი კონტრშეტევისთვის მომავალ წელს და შეტევის ერთ-ერთი მიმართულება შესაძლოა, ხერსონის რეგიონი იყოს. სამხედრო ექსპერტების შეფასებით, აუცილებელი გამანადგურებელი თვითმფრინავების, თავდასხმის შვეულმფრენების და უპილოტო თვითმფრინავების არსებობით, უკრაინას შეუძლია მხარი დაუჭიროს თავისი ჯარების წინსვლას, მით უმეტეს, რომ ამ რეგიონში რუსული სიმაგრეები თითქმის არ არის, თუმცა პრობლემა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ეს ყველაფერი უკრაინას არ აქვს.

* * *

**პოლიტიკურ** ხელმძღვანელობასთან დაპირისპირებული ზალუჟნი შეძლებს თუ არა ახალი კოტრშეტევის დაგეგმვას, ამასთან დაკავშირებით, სამხედრო ექსპერტი **ვახტანგ მაისაია** აცხადებს, რომ სამხედროები ემორჩილებიან პოლიტიკურ ხელმძღვანელობას და ეს სისტემა ძალიან კარგად არის უკრაინაში დამუშავებული, რომლის მოშლა კრემლმა ვერც ერთ ნაწილში ვერ შეძლო.

იხ. 8 გვ.




# ჯანჯღავები – გვარის ტრადიციები გრძელდება



**ჯანჯღავების განსახლების ძირითად არეალს მარტვილის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს, ასევე ისინი კომპაქტურად ცხოვრობენ ზუგდიდის, სენაკის, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თბილისში.**

**სხვადასხვა წყაროების მიხედვით გვარი ჯანჯღავა პირველად არის ნახსენები 1791 წელს გერასიმე ელიავას მიერ, მარტვილის ეკლესიისადმი გაგზავნილ წერილში.**

**სხვადასხვა წყაროებიდან ასევე ირკვევა, რომ ჩვენ ვყოფილვართ საეკლესიო გლეხები, ხელოსნები და მამასახლისებიც.**

**ამჟამად საქართველოში ცხოვრობს დაახლოებით 3000 ჯანჯღავა.**

რაც შეეხება საგვარეულო ეკლესიას, იგი აშენებულ იქნა XVII საუკუნეში. ეკლესია 1956 წელს დიდი მიწისძვრის შედეგად დაინგრა და მხოლოდ 1990 წლების ბოლოს გადახურულა, პოლიციის გენერალ ელგუჯა ჯამბურიას მიერ. ეკლესია ამჟამად არ არის მოქმედი, თუმცა მოსახლეობა აქტიურად სარგებლობს ეკლესიით.

ჩვენ შევქმენით საგვარეულო ხატი და გერბი. დავაარსეთ აიპი – თამაკონის ღვთისმშობლის ეკლესიის ფონდი. ფონდის გამგეობაში არჩეულები არიან ლაშა, მერი, დავით, ჯამლეტ ჯანჯღავები და ელგუჯა ჯამბურია.

ხატის და გერბის შექმნაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ძმებმა ლაშა, დიმა და რაჯი ჯანჯღავებმა, კახა ჯანჯღავამ, საქართველოს ელჩმა თურქეთის რესპუბლიკაში გიორგი ჯანჯღავამ და სხვ.

გვარის კურთხევა მოხდა 2018 წლის 6 მაისს, გიორგობის დღეს. გვარი აკურთხა კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. კურთხევაზე მობრძანდა 100-ზე მეტი ჯანჯღავა.

ცალკე მინდა გულწრფელად აღვნიშნო ის ფაქტი, რომ ძალიან დიდი ბედნიერება ეწვია იმ ჯანჯღავებს, რომლებსაც შეხება ჰქონიათ ამ ხატთან თავიანთ სახლებში.

ხუთი ჯანჯღავა, კურთხევის შემდეგ დაქორწინდა და ბედნიერებას ეწია. რამდენიმეს ნანატრი შვილი შეეძინა.

მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა სახელოვან ჯანჯღავებზე. ყველაზე ცნობილი პიროვნებაა **ვლადიმერ ჯანჯღავა,** ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-ლეიტენანტი, საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი.

**სარდიონ ჯანჯღავა** – საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორი XX საუკუნის 50-იან წლებში.

ჯანჯღავების გვარის მხედრული ტრადიციები გააგრძელა **ნიკა ჯანჯღავამ,** რომელიც არის საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის პირველი მოადგილე, გენერალი. მე ძალიან ამაყი ვარ იმით, რომ ამერიკულ კოლეჯში, სადაც სწავლობდა ნიკა, შესასვლელში წერია: **„შენ შეიძლება გახდე რეინჯერი, მაგრამ ვერ გახდები ნიკოლოზ ჯანჯღავა".**

ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეა **გიორგი ჯანჯღავა** – საქართველოს ელჩი თურქეთში. ბატონი გია აქტიურად მუშაობს საქართველოს თურქეთთან მეგობრული ურთიერთობების განსამტკიცებლად.

პოლკოვნიკი **ვარლამ ჯანჯღავა** თბილისის კონტროლის პალატის თავმჯდომარე იყო, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იგი ცნობილი დიპლომატია. უპატიოსნესი პიროვნება, რომელმაც აღზარდა ორი შვილი – ნევროპათოლოგი **თემურ ჯანჯღავა** და ზუგდიდის ქალაქკომის ყოფილი პირველი მდივანი **კლიმენტი ჯანჯღავა.**

**ლაშა ჯანჯღავა** ცნობილი მოჭადრაკე და მწვრთნელი, საერთაშორისო დიდოსტატია. სხვათა შორის, მსოფლიო ჩემპიონების გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის პირადი მწვრთნელი გახლდათ. იყო საქართველოს ასაკობრივი ნაკრების მთვარი მწვრთნელი. მიუხედავად იმისა, რომ ლაშას მრავალჯერ შესთავაზეს უცხოეთში სამუშაოდ გადასვლა, საქართველოში დარჩა და დღესაც იღვწის საქართველოს სახელის შორს გატანისათვის.

მინდა დიდი სიმაყით აღვნიშნო ის ფაქტი, რომ ჯანჯღავები აქტიურად მონაწილეობდნენ საომარ მოქმედებებში აფხაზეთში. სამწუხაროდ, ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში გმირულად დაიღუპა მაიორი **კოტე ჯანჯღავა.**

მინდა გაგაცნოთ, გვარის სიამაყე, აწ გარდაცვლილი პროფესორი **თენგიზ ჯანჯღავა,** რომელიც მოღვაწეობდა თსუ-ში, შემდეგ კი საქართველოს გენერალური კონსული იყო უკრაინაში.

წინაპრების გაკვალულ გზას წარმატებით აგრძელებენ ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები. განსაკუთრებით აღსანიშნავიაო ცნობილი ენდოკრინოლოგი **შოთა ჯანჯღავა** და ტრავმატოლოგი **მიხეილ ჯანჯღავა.**



სხვადასხვა უნივერსიტეტებში წარმატებით მოღვაწეობენ **ნინო, რომან, სალომე ჯანჯღავები,** ასევე წარმატებულ გზას აგრძელებს ჩემი შვილი, **გიორგი ჯანჯღავა,** რომელმაც ბაკალავრიატი თსუ-ში დაამთავრა, ხოლო მაგისტრატურა გერმანიაში, ქ. კიოლნში და არის ერთ-ერთი ფირმის დირექტორი და ეწევა საადვოკატო საქმიანობას.

რამდენიმე ცნობილი ჯანჯღავა მოღვაწეობს საზღვარგარეთ. მათ შორის გამოვყოფდი ქ. რამენსკოეს (რუსეთი) ატომური მანქანათმშენებლობის ქარხნის დირექტორს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრს, პროფესორ **გივი ჯანჯღავას.**

გვარში ასევე გვყავანან საეკლესიო პირები. ფოკის მონასტრის წინამძღოლმა **მამა პაისმა** დალოცა ჩვენი გვარი.

მინდა ყველა ჯანჯღავას ვუსურვო ჯანმრთელობა, სულმრთელობა, ბედნიერება და წარმატებები. სამომავლოდ გათვალისწინებული გვაქვს საინტერესო აქტივობები, რათა კიდევ უფრო წარმატებით წარმოვადგინოთ ჯანჯღავების სახლოვანი გვარი.

**ჯამლეტ ჯანჯღავა,**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის
პროფესორი და ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი,
ჯანჯღავების გვარის წინამძღოლი.

# სტრასბურგმა ოთხოზორიას მკვლელობის საქმეზე პასუხისმგებლობა რუსეთს დააკისრა

**ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გიგა ოთხოზორიას მკვლელობის საქმეზე გადაწყვეტილება მიიღო.**

სასამართლომ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევა დაადგინა. მოცემულ საქმეში ასევე დაადგინა 38-ე მუხლის დარღვევა, რადგან რუსეთის ფედერაციამ სასამართლოში არ წარადგინა შესაბამისი სისხლის სამართლის საქმის მასალები.

**გიგა ოთხოზორიას ოჯახმა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად 130 000 ევროს კომპენსაცია უნდა მიიღოს.**

სასამართლო ადგენს, რომ მოპასუხე მთავრობამ ვერ შეასრულა კონვენციის 38-ე მუხლით ნაკისრი ვალდებულებები. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის არსებითი და პროცედურული მხარეები; **ამასთან, ადგენს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ უნდა გადაუხადოს ოთხოზორიას ოჯახს ერთობლივად, სამი თვის განმავლობაში 130 000 ევრო, დამატებით ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შეიძლება, დაეკისროს მორალური ზიანის შესაბამისად.**



# რატომ არ მოაწერა ხელი საქართველომ „მაგნიტსკის სიის" გახანგრძლივებას?




**საქართველომ აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით შეინარჩუნა ბოლო წლებში არსებული პრაქტიკა, რაზეც ინფორმირებული არიან ჩვენი პარტნიორები,** – ასე პასუხობს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო კითხვას, რატომ არ შეუერთდა საქართველო „მაგნიტსკის სიის" 2026 წლის 8 დეკემბრამდე გახანგრძლივებას.

ამასთან, როგორც უწყებაში აცხადებენ, ევროკავშირის განცხადებებთან მიერთების სტატისტიკა ბოლო ერთ წელიწადში 50 პროცენტამდეა გაზრდილი.

**„საქართველომ აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით შეინარჩუნა ბოლო წლებში არსებული პრაქტიკა, რაზეც ინფორმირებულები არიან ჩვენი პარტნიორები. რაც შეეხება ზოგადად, ევროკავშირის განცხადებებთან მიერთების სტატისტიკა ბოლო ერთ წელიწადში მკვეთრად – 50 პროცენტამდეა გაზრდილი",** – აცხადებენ საგარეო საქმეთა სამინისტროში. საქართველომ, როგორც ევროკავშირის წევრობის კანდიდატმა ქვეყანამ, მხარი დაუჭირა ევროკავშირის მიერ ჩრდილოეთ კორეისა და არაღიარებული დნესტრისპირეთის ლიდერების მიმართ სანქციების ვადის გახანგძლივებას. ამის შესახებ ინფორმაცია ევროპული საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა. ამასთან, საქართველო არ არის იმ ქვეყნების სიაში, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ე.წ. მაგნიტსკის სიის მოქმედების ვადის სამი წლით გახანგრძლივებას.

# რა უთხრა სტალინს კახელმა მარომ...

კოწაანთ მარო ერთი უბირი დედაკაცი იყო. ვინმეს, იმის შემხედვარეს, ეგონებოდა, ესა, მჭადში ნახშირს ვერ გამოარჩევსო. მჭადისა და კუტი პურისა რა გითხრათ, მაგრამ აი, წერა-კითხვა მაინც იცოდა თუ არა, ამას დანამდვილებით ვერავინ იტყოდა. იმის თოხისა და ბარისაგან დაკოჟრებულ ხელებში წიგნი და გაზეთი არავის დაენახა. არც სოფლის სამკითხველოსკენ ჰქონდა გზა გავაკებული.

მაროს ან რა ეწიგნებოდა, ან რა ეგაზეთებოდა, რაში აინტერესებდა სხვისი ამბების გაგება, როცა თავისი კარგად დალიანდაგებული და მოგვარებული ჰქონდა. ჰქონდა საკუთარი ეზო და კარი, პატარა ხის სახლი, ჰყავდა ერთგული და გამრჯე ქმარი, ორი მურაკა გოგო და გადაყრუებული დედამთილი, ერთი სიტყვით, ჰქონდა, ჰყავდა და ბედს არ ემდუროდა, ყოველ შემთხვევაში, იმისგან ბუზღუნი და წუწუნი არავის გაეგონა... აპა-პა-პა-პა!

მაგრამ, ნემენცებმა ის დაწყევლილი მეორე დიდი ომი რო დაიწყეს რუსეთთან, მაროს სოფლიდანაც სუ დარჩეული ჯეილი ბიჭები და დაღვინებული კაცები წაიყვანეს ფრონტზე (ისე, არც მოწიფული გოგოები დაიწუნეს, ზოგიერთები შუაღამისას წამოყარეს ლოგინებიდან, მოწყალეების დებად და სანიტრებად ხართ საჭიროო), სოციალისტურ სამშობლოს დაცვა უნდაო...

უნდაო და, ისინიც წავიდნენ.

მაროს ქმარი კოწაც წავიდა.

ომი რო დამთავრდა, მოუკვდეს იმას მომგონიცა და დამწყებიც, ნაფრონტალები, ვინც როგორღაც ცოცხლები გადარჩნენ, როცა იყო და როგორც იყო, გამოჩნდნენ, დაბრუნდნენ შინ, ზოგი, მართალია, ხეიბარი, ნახევარკაცი, მაგრამ ხო მაინც დაბრუნდნენ, დაუბრუნდნენ თავიანთ ოჯახებს, ზოგი - ვერა, ვერც ცალხელა და ცალფეხა და კონტუზიანი...

ვერ დაბრუნდა შინ მაროს კოწაც.

მაროს, ჯარისკაცის ქვრივს, რა უნდა ექნა, ისიც სხვებივით, თავის ბედში მყოფი ქალებივით ეწეოდა ცხოვრების ჭაპანს. კოლექტივის ვენახსა და ყანაშიც მუშაობდა და არც თავისას, საკუთარს აკლებდა ხელს, წელებზე ფეხს იდგამდა, უკაცო ოჯახი ყოველდღიურ ლუკმაპურზე გამოჰყავდა.

ერთ დღეს წიოკი და ვაიუშველებელი ატყდა ჩვენს უბანში. წლოვან კაცებს ეგონათ, ლეკები დაგვეცნენო და ფიწლებსა და კეტებს წამოავლეს ხელი. რის ლეკები, იმათზე უარესები, გადასახადების ამკრეფები დადიოდნენ კარდაკარ და მოსახლეობას გაუგონარ გადასახადებს ახდევინებდნენ, ეს იმისი, ეს იმისი და ეს იმისიო...

აბა, ის-ის იყო, ომგადატანილი, ჯერ წელგაუმართავი, სულმოუთქმელი და ნახევრადმოშიმშილე გლეხები, კოლწევრები, რის გადამხდელები იყვნენ და მეგადასახადეები ძალაობდნენ, რასაც თვალსა და ხელს მოჰკრავდნენ, ართმევდნენ და მიჰქონდათ: სპილენძის ქვაბები, თასები, ტაშტები, ხალიჩები...

მაროს სახლსაც მიადგნენ, აბა, გამაიტა ფულიო. ფული სად ჭირში მააქო, შეიცხადა მარომ. შინმოუსვლელის ცოლი დიდგულზე იყო, არც ფული ჰქონდა და აღარც ხალიჩები და სპილენძეული, ყველაფერი დიდი ხანია, სათითაოდ გაეყიდა, ან პურზე გადაეცვალა.

იმათაც, სხვა რო ვერაფერი მოიხელთეს, არ დაიხვალიეს, სახლის სახურავზე აძვრნენ და კოწას ხელით ჩარიკრიკებული კრამიტი სათითაოდ ჩამოალაგეს ძირს...

რას შვრებით, თქვე უღმერთოებო თქვენაო, გულსაკლავად მიაყვირა მარომ, ხო იცით, ომში დაღუპულის ოჯახიაო, რაზე მიქცევთ ოჯახსაო. ვითომ ისინი ჩვენივე სოფლელები კი არა, გადამთიელები იყვნენ და არ იცოდნენ, ვის სახლს გადახადეს სახურავი.

ისინი კი წავიდნენ უკანმოუხედავად, წაიღეს წასაღებელიცა და არწასაღებელიც და მაროსა და მაროსნაირების წყევლა თან გაიყოლეს.

იმ დღეს არაფერი... ან იმაზე მეტი რაღა უნდა მომხდარიყო!

მეორე დღეს, რო იდროვა, წნორიდან სახალხო მატარებელი ამოივლისო, გამოჩნდა მარო რკინიგზის სადგურის პერონზე – ბაგემოკუმული და იმ გაგანია ზაფხულში მხრებზე შალმოხურული და ზურგზე ბოლოებგადაჯვარედინებული. ეტყობოდა, რაღაც მოეფიქრებინა, რაღაც გადაეწყვიტა.

რას აპირებ, ქალოო, საით გაგიწევიაო, აუარჩაუარეს მეზობლის დედაკაცებმა და წაულაპარაკეს, საით გაგიწევია, დეეტიე შინა და ი დედაბერ და გოგოებ მიხედეო, ემანდ თავ არაფერი აუტეხოო...

მე ვიცი, სადაც და ვისთანაც მივდივარო, ჩემი ობლების აწიოკებას არავის შევარჩენო, თავისთვის უფრო, ვიდრე იმათ გასაგონად, ჩაიდუდღუნა მარომ და მოქლოშინებული მატარებლის ვაგონში ავიდა.

ჩვენ ჩვენი გითხარით და შენი საქმისა შენ იციო, მიაყოლეს იმათაც და თავ-თავიანთ სახლ-კარისაკენ აითრიეს ფეხი.

იმ დღიდან სალაპარაკო და საჩურჩულო არ გამოელიათ უბნელებს, ქალი იყო თუ კაცი, სოფლიდან გადაკარგული ქვრივი მაროს ამბის კითხვა-გაკითხვაში ათენებდა და აღამებდა, მაგრამ იმისი ამბის მომტანი, არც კარგისა და არც ავისა, არ ჩანდა. მერე და მერე, თავიანთ საზრუნავში ჩანთქმულებს, ვინ იცის, აღარც ახსოვდათ და აღარც აგონდებოდათ ჩვენი მარო ქალი.

ამასობაში თუთაბლობაც მიილია.

ერთ დღეს ისევ აგორდა საჩურჩულო და სალაპარაკო გორბალი. მაშ რა, ბრუციანები ხო არ იყვნენ, ან ბლუები, რო დასანახი ვერ დაენახათ, ან სათქმელი ვერ ეთქვათ.




სოფლის სამჭოდან თუ კოლექტივის გამგეობიდან მოვიდნენ და მოციქვინეს კაცები. მოზიდეს და მოყარეს ქვიშა და აგური, ხრამიტი. მაროს ფიცრულა სახლი მოშალეს, მოანგრიეს, ქვიტკირის კედლები ამოიყვანეს, კრამიტით გადახურეს, კარფანჯარაც ჩაუსვეს და პატარა კიბეც მიადგეს. ის კი არა, გვერდზე გადაღრეცილი ბოსელიც გაალაზათიანეს და შიგ ერთი მეწველი ძროხაც ააბღავლეს ახლადმოგებული ხბოიანად.

კიდევ რამდენიმე დღეც და მაროც გამოჩნდა, იმ თავის შალმოხურული და ზურგზე ბოლოებგადაჯვარედინებული. გამოჩნდა და მეტად აღარც წასულა არსად. კოლექტივის ვენახში თუ წავიდოდა, ან თავის ურწყავ-სარწყავში, ან ტყეში შეშა-ფიჩხისათვის თუ წისქვილში.

– აღარ იტყვი, ქალო, სად იყავი? ან შენ აქ არყოფნაში ეს სახლი რო აგიშენეს, დაგიხურეს, ხბოიანი ძროხაც მოგგვარეს, საიდანა, ჰაა? – რო ითმინეს, და ბოლოს, ვეღარ მოითმინეს, შეილალნენ მეზობლები მაროს ეზოში და მანამდე არ გამოილალნენ, ვიდრე არ აალაპარაკეს.

ან რა იყო დასამალი.

– სად ვიყავი და, იქა... – როგორც იყო, ამოიღო ხმა მარომ, კიბის საფეხურზე ჩამოჯდა და მრავალმნიშვნელოვნად ასწია თითი თავზევით.

იქ მყოფებმა მაროს თითს თვალი მიადევნეს და იმის თავზევით ვერავინ და ვერაფერი რო ვერ დაინახეს, უფრო ახლოს მიუჩოჩდნენ, უფრო ჩაეძივნენ.

იმანაც მოხსნა გუდას პირი, ამოალაგა და რა ამოალაგა...

– იქ ვიყავი... სტალინთანა!

– სტალინთააან?!

– ჰოო, სტალინთანა... რა, არა გჯერათ რო?

მართლა ძნელი დასაჯერებელი იყო და კითხვები სეტყვასავით დააყარეს აქეთ-იქიდან.

სტალინთან... მაშა?! იქ ვინ მიგაჭაჭანებდა!

–- ან როგორ ჩახვედი მოსკოვშია... კრემლშია... ბოდბიხევი ბაზრობა ხო არა გგონია შენა!...

– თუ კარქი ქალი ხარ, აბა ერთი სცადე და ჩვენი რაიკომი მდივანთან ან ცეკას მდივანთან შააღწიე!

მაგრამ, მაროს ახალ სახლსა და ბოსელს თვალი რო გადაჰკრეს, მხარდამჭერიც ბევრი გამოუჩნდა, ალილო და ხვალეო, ეგე, თუ არაო.

მარო კი იჯდა და იღიმებოდა, როგორც გამარჯვებულს შეეფერებოდა.

ზოგ-ზოგმა ლამის კიდევაც დაიჯერა სტალინთან მაროს ჩასვლისა და მასთან საუბრის ამბავი, მაგრამ სოფლის სკოლის სამხედროს მასწავლებელმა, რუსულის ცოდნით თავი რო მოჰქონდა, რო იტყვიან, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: – მარო, აბა, რას ამობ, ერთი ღერი რუსული შენ არ იცი და, აბა, მოსკოვში გზას როგო გაიგნებდი!

– ჰო, ჰო... აბა?! – აჰყვნენ მას სხვებიც.

მაგრამ მაროს ნათქვამს ვინ გადაათქმევინებდა.

– რათ მინდოდა რუსული რაა... – ბოლოს, როგორც იყო, შეიცოდა ცნობისმოყვარეობით თვალებდაყვლეპილი მეზობლები. – სოციალისტურ შეჯიბრებაში რო გავიმარჯვე... იქ რაა, ტყუილათ გავიმარჯვეე?! ი სტალინი სურათით რო დამაჯილდოვეს... იქ რაა... ტყუილათ დამაჯილდოვეეს?! ჰოდა, გადასახადისთვის რო მამადგნენ აქა... მე კიდენა რო უთხარიკე, ჩემი ქმარი, ჩემი კოწა ფრონტზე დაიღუპა-მეთქი... ე ობლები და საპყარი დედამთილი ვერ გამამიკვებნია მარტოკელა ქალსა, რა გინდათ, რას გადამეკიდეთ, ლეკები ხო არა ხართ-მეთქი... ჰოდა, იმათ რო ვერაფერი შავასმინე, მე ვიცი თქვენი-მეთქი, მე ვიცი და ჩემმა ქალობამა-მეთქი, ჩემთვის გავივლე გულში... ავდექი, შალი მოვიხურე, ბოლოები გადავიჯვარედინე და ის სურათი... სტალინისა... შალქვეშ ამოვიფარე... ამოვიფარე და წავედიი...

– როგო წახვედი, ქალო, ემანდ ხო არ იყო... ან პური არ გინდოდა, ან წყალი, ან გზი ფული, ან რამე?

– გზი ფული კი არა, ვინ იცი რა, ფული რო მქონოდა, ჩემ დედამთილ და გოგოებ იგრე დავყრიდი უპატრონოთაა?! ჩავჯექი ე ჩვენ კახეთი მატარებელშია... ჩავედი და ჩავრიხინდი თბილისშია... ჩემმა ქმარმა, ჩემმა კოწამა, ხელი რო მოვაწერეთ, ქალაქში წამიყვანა სავაჭროთა... კაბა და ქუსლიანი ფეხსაცმელები მიყიდა... ჰოდა, მაშინა, რკინიგზი სადგურში ერთი ლამაზი მატარებელი დამანახა და მითხრა, მოსკოვი მატარებელია ეგაო... რა ვი, მეც დამახსომდა. ქალაქ რო ჩავედი, ი მატარებელი ისევ იქ იდგა... კარები ღია იყო... მეც ავედი და ჩავჯექი... კუდა, კუდაო, გამამეკიდა ვიღაცა ქალი. ვერ გავიგე, მგონია რუსულად მეკითხებოდა. კუდაცა ხარ და ერთით მეტიცა-მეთქი, ჩემთვინა ვთქვი, იმას კი ხმა არ გავეცი, ვითომ ვერ გავიგონე. ის კიდენა, ბილეტ, ბილეტო, დამჩხაოდა, ვითომ, ბილეთი მაჩვენეო... მეცა, ბილეთი რა, კინოში კი არ მივდივარ ნატო ვაჩნაძი სანახავათა-მეთქი, მოსკოვში მივდივარ-მეთქი... რო აღარ მამეშვა ი გულმკვდარი, მეც გამოვიღე სტალინი სურათი შალქვეშიდანა და ვუთხარი, ქალო, რას გადამეკიდე ძველი ხურჯინივითა-მეთქი, მამშორდი თავიდანა-მეთქი, ამასთან, სტალინთან მივდივარ-მეთქი... იმანაც, ჰოო, სტალინთანაო? მემრე, თავიდანვე ეგრე ვერა თქვიო? მამხვია მხარზე ხელი, მამეფერა, წამიყვანა და შამიყვანა თავის კუპეში. პურიც მაჭამა, ჩაიც დამალევინა... ეგრე ჩავედი მოსკოვშიაა...

– მემრე, ქა, მემრე? – არ აცლიდნენ აქეთ-იქიდან.

– მემრე ისა, რო... იქაცა... რო ჩავედი... კითხვა-კითხვით მივაგენი და მივადექი...

– აბა, როგო ეკითხებოდი ნეტავი...

– როგო და, გამოვიღებდი სტალინი სურათ შალქვეშიდანა და, როგორც კი ვაჩვენებდი, ყველა გამიცინებდა ხოლმე, გრუზინ, გრუზინო და თითს გაიშვერდნენ ხოლმე, მიმასწავლიდნენ, აი, იქით წადიო.

მეც იქით მივდიოდი... ერთ დიდ მოედანზე დიდ ჭიშკარ რო მივადექი, იქ ცოტა გამიჭირდა, მაგრამა, იქაც გავაგებინე ჩემებურათა, ვინც ვიყავი და ვისთანაც მივდიოდი, ჰოდა, მივედიი...

– იმასთანა... სტალინთანაა?

– ჰოო, იმასთანა, სტალინთანა, აბა, მა ვისთანა!

– მემრე, რო მიხვედი... იმანა, რაო, აღარ იტყვი? დროზე ამოყაჭე, სული ნუ დაგვალევინე!

– როგორც კი შაველი იმასთანა, კაბინეტში, კარებთან გამამეგება თითონა. მოდი, ქალო, მოდიო, ნუ გერიდებაო. მიმიყვანა, სკამზე დამსვა, თითონაც გვერდით მამიჯდა. იგრე, შორიახლოსა... სახელი მკითხა, გვარი მკითხა, სადაური ხაროო... ყველაფერი რო უთხარი, მემრე ახლა ისა მკითხა, როგო მოაღწიე ჩემამდინაო. მეც ვუთხარი, როგორც. რა, სიტყვის სასესხებლათ სხვაგან წავიდოდი თუ რაა... სურათი ვაჩვენე თავისი. ისიც ვუთხარი,. კოლექტივი წევრი ვარ, სოციალისტურ შეჯიბრებაში რო გავიმარჯვე, მაშინ დამაჯილდოვეს ამითა-მეთქი. იმან ულვაშებში ჩაიცინა... ეტყობა, გაუხარდა... ახლა ისა მკითხა, ამ სიშორეზე რამ წამოგიყვანაო... მეც ავდექი და ყველაფერი ჩავუკაკლე, ვუთხარი, ჩემი ქმარი, ჩემი კოწა, ფრონტზე დაიღუპა-მეთქი, შინ იმი ბებერი დედა და ორი თითისიგრძე ობოლი გოგო დამრჩა-მეთქი. იმათ კიდენა გადასახადს რო ვერ იხდიო, ადგნენ და კრამიტი გადამიხადეს და წაიღეს, სახლი უსახურაოდ დამიტოვეს-მეთქი.

ამას რო ვყვებოდი, ძალიან ყურადღებით მისმენდა. მეც გავთამამდი და გავუტიე ჩემებურათა. ან რა დამაყენებდა რა, კიდე კი არ მეღირსება მოსვლა აქა და ლაპარაკი-მეთქი... მთელი სოფლი ამბები მოუყევი, კოლექტივისაცა... რა ხდება, როგო ხდება... არაფერი დავმალე... დილაადრიანათა, ჯერ კარქა გაუთენებელზე რო მიგვერეკებიან მინდვრათა, თან სიმღერ-სიმღერითა... მთელი დღე გვამუშავებენ ვირებივითა და წლი ბოლოსა კიდენა, მოსავლი განაწილებისასა, იმდენ იძლევიან, მეშოკში ჩაყრილსა კაცი ცალი ხელით რო აწევს თავზევითა... აბა არ მეთქვა? ვუთხარი კიდეცა და ძალიან გაუკვირდა, იწყინა კიდეცა, რას ამბობ, მაროო, მართლა ეგრე ხდებაო? წარბებშეჭმუხნულმა და ღრუბელივით მოქრუშულმა იკითხა. ეგრეა, მა რაა-მეთქი, უთხარი და თავიც დავუქნიე. იმანა, ამი გაგონებაზე, სუ კბილები აკრაჭუნა... მემრე უფრო ახლოს მოიწია ჩემთანა, მხარზე ხელი დამადო და მითხრა, შემომჩივლასავით, რაა... ქალოო, მაროო, რამდენი ძაღლი და მამაძაღლია ამ ტიალ ქვეყანაზეო, ერთი კაცი ყველას როგო მოერევაო... რო იცოდე, კბილებით მიჭირამ ამხელა ქვეყანაო... მე რო აღარ ვიქნები, მემრე ნახე შენა, რა დაემართება ქვეყანასაო, იგეთი ამბები დატრიალდება, აქაო... აქაცა და მთელ ამხელა ქვეყანაშიცაო... ძაღლი პატრონ ვეღარ იცნობსო.

ეს რო თქვა, კარგა ხან იჯდა ჩაფიქრებული, მემრე ქაღალდი ფურცელზე რაღაცა ჩაიწერა. მე მითხრა, მაროო, ეხლა წადი შინა, ხელ ვერავინ გახლებსო... კარებამდე გამამაცილა, ქაა... ვიღაცეებ ჩააბარა ჩემი თავი. იმათა, მატარებელშიც ჩამსვეს და საგზალიც გამამატანეს თანა.... ჰოდა, ეგე, ხო ჩამოვედი...

– კი ჩამოხვედი, მაგრამა, ყველაფერი რო უთხარი, ბელადსა, ი ოცდაჩვიდმეტში იმთენი უდანაშაულო ადამიანი რო წაიყვანა ჩვენი სოფლიდანა, ვითომა, ხალხის მტრებიო, იმაზე რატო არაფერი უთხარი! – მორიდებით შეახსენა ერთმა, მიწამდე ცხვირდაბჯენილმა ბერიკაცმა.

– ჰოო... მინდოდა მეკითხნა ეგეცა, როგო არა... ერთი თალია, კიდევაც დავაპირე... პირიც დავაღე, მაგრამა, ისა... იგეთი დაღონებული და შეწუხებული იყო, ეჭვმაც გამკენწლა მაყვლი ეკალივითა,... აქა, რაღაცა მთლათ იგრე არაა, როგორც შორიდანა ჩანს და რო გვგონია ჩვენცა-მეთქი... ამასაცა, დიდ ბელადსაცა, სტალინსაცა, რაღაცა უჭირს-მეთქი... ეტყობა, რაღაც-რაღაცეები, რაც ამხელა, თვალუწვდენელ ქვეყანაში ხდება, ყველაფერი არ იცის ზუზივ-ზუზივა, ან კიდენა, იცის და თითონაც არ მოსდის ჭკვაში, მაგრამა, რა ქნას ამ ერთმა კაცმა-მეთქი... ჰოდა, ეს რო გავიფიქრე, შემეცოდა ამხელა კაცი, მემრე რა, რო დიდი ბელადია-მეთქი... მეც რა უნდა მექნა, ჩავიგდე ენა მუცელში, კრინტიც აღარ დავძარი... – იმართლა თავი მარომ, მერმე თვალები ააცეცა, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა და ტუჩებზე ხილაბანდის ბოლო რო მიიფარა, ცოტა არ იყოს, შეცბუნებულმა ჩაიპუტუნა: – მეზობლებო, პირი რო მომაღებინეთ და ამდენი რო მალაპარაკეთ და მალაქლაქეთ, ემანდ ქვეყანას კი არ მოსდოთ, მარომ ეგრე და იგრეო... თქვენი შვილების გახარებასა და გამრავლებასა, ყველაფერი, რაც გითხარით, ჩვენში დარჩეეს... ვითომ არც არაფერი მიამბნია თქვენთვინაა... სულამც, არც გინახნივართ და ეგ არიი!

...ვისაც უნდა, დაიჯეროს, ვისაც უნდა – არა, ჩემი სოფლელი მარო მართლა იყო მოსკოვში, სტალინთან და თავისი ქმრის, სახლისა და კრამიტის ამბავი რო უამბო, არც სოფლისა დაუმალა...

თინათინ სიყმაშვილი
593 44 58 10



# ნეპალი – წმინდა მიწა ბუდას სამშობლოა!

**ნეპალის ხსენებაზე, ყველას ევერესტი გვახსენდება ხოლმე, ცნობილი ჯომოლუნგმა, რომელსაც თავად ნეპალელები საგარმათას უწოდებენ. მსოფლიოში ყველაზე ცნობილი შერპა, თენსინგნორგაიც ნეპალელი ინდოელია, რომელმაც, სერ-ედმუნდ-ჰილარისთან ერთად, პირველმა, დაიპყრო ევერესტი. ნეპალი ინდოეთსა და ჩინეთს შორის მოთავსებული მიწაა ჰიმალაის სამხრეთ კალთაზე. მსოფლიოს ათი უმაღლესი მწვერვალიდან, რვა, სწორედ აქ მდებარეობს. ამის მიხედვით, გამოდის, ნეპალი, საშუალოდ, მსოფლიოს ყველაზე მაღალი ქვეყანაა. ბუდისტური გადმოცემით, სიტყვა ნეპალი ტიბეტიდან მოდის და წმინდა მიწას ნიშნავს, თუმცა, რა გასაკვირია, ბუდა, იგივე ბუდისტური ლეგენდის მიხედვით, სწორედ ნეპალში დაბადებულა, ასე, 2500 წლის წინ.**

ნეპალის დღევანდელი მოსახლეობის 80 პროცენტი ინდუიზმის მიმდევრია, 10 პროცენტი ბუდისტი, დანარჩენი კი, ქრისტიანი, მუსლიმი და სხვები. 1768 წლიდან ოცდამეერთე საუკუნემდე, ნეპალს შაჰის დინასტია, იგივე გურქხას სამეფო სახლი, მართავდა. მე-19 საუკუნის დასაწყისში, ინგლის-ნეპალის ომის შედეგად, ბრიტანეთმა ნეპალს არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება მოახვია თავს, რითაც ნეპალის მთელი საგარეო პოლიტიკა ინგლისის ხელისუფალთა კონტროლს დაექვემდებარა. სწორედ, მაშინ ჩამოყალიბდა ნეპალელი მოხალისეებისგან შექმნილი ინგლისური სამხედრო დანაყოფი, რომელსაც იმ ნეპალელი გურქხების სახელი დაერქვა. ისინი მამაცი მეომარი ხალხია. გურქხების სამხედრო დანაყოფი ინგლისის არმიაში დღემდე არსებობს. 1923 წელს, ინგლისმა ნეპალის დამოუკიდებლობა აღიარა. 1990 წლამდე, ნეპალი აბსოლუტური მონარქია იყო, 1990 წლიდან 2008 წლამდე საკონსტიტუციო მონარქია, 2008 წლიდან კი, ნეპალში საპარლამენტო წყობაა და მას, ოფიციალურად, ნეპალის ფედერალური დემოკრატიული რესპუბლიკა ეწოდება.

ნეპალი ღარიბი და ადამიანის განვითარების დაბალი ინდექსის მქონე ქვეყანაა, რომლის პრემიერ-მინისტრი 68-წლის პუშპა-ქამალ-დაჰალი, მეტსახელად, პრაჩანდაა, რაც ნეპალურად მრისხანეს ნიშნავს. ასე მიმართავენ ხოლმე, მეგობარი პრაჩანდა, თავმჯდომარე პრაჩანდა. იგი მრავალშვილიანი გლეხის ოჯახში დაიბადა. შვიდი დედმამიშვილი ჰყავდა. მამამისი გლეხი იყო, მაგრამ წარმოშობით, უმაღლეს კასტას, ბრაჰმანებს, მიეკუთვნებოდა. ამიტომ, პრაჩანდას უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების პრივილეგია მიეცა. მან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა აგრონომის დიპლომით. სტუდენტობაში, პუშპა ნეპალის იატაკქვეშა კომუნისტურ პარტიას დაუახლოვდა. ის, როგორც ნეპალის მოსახლეობის უმრავლესობა, უკმაყოფილო იყო მონარქიითა და გლეხების მძიმე მდგომარეობით. კომუნისტებმა ხელგაშლით მიიღეს განათლებული ახალგაზრდა. პუშპა არალეგალურად უკითხავდა ლექციებს გლეხობასა და ახალგაზრდობას. თავად, მარქსის, ლენინისა და მაოს იდეებით იყო გატაცებული.

1986 წელს, ნეპალის კომპარტიამ პუშპა-ქამალ-დაჰალი გენერალურ მდივნად აირჩია. მაშინ დაარქვეს ეს სახელი, პრაჩანდა-მრისხანე. 80-იანი წლების ბოლოს, ნეპალის ორმა უმსხვილესმა პოლიტიკურმა ძალამ, ნეპალის-კონგრესმა და კომუნისტურმა პარტიამ, ერთიანი ძალისხმევით, მონარქიის წინააღმდეგ, სახალხო მოძრაობა წამოიწყეს, რომელმაც 1990 წელს კულმინაციას მიაღწია. ნეპალის ხელსუფლებამ ყველა პოლიტიკური ლიდერი დაიჭირა და მათი გაზეთები აკრძალა, მაგრამ პოლიტიკურ ძალებს ხალხი შეუერთდა. ნეპალის ზოგიერთ ქალაქში პოლიციამ და არმიამ ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენა, დაიხოცა მრავალი მომიტინგე, რამაც კიდევ უფრო დიდი სახალხო პროტესტი გამოიწვია და, შედეგად, ნეპალის დედაქალაქ კატმანდუში, ორმა მილიონმა ადამიანმა საპროტესტო ტალღაში მიიღო მონაწილეობა. ოპოზიციური პარტიების ზეწოლისა და ხალხის საპროტესტო გამოსვლების შედეგად, მეფე რეფორმების გატარებას დათანხმდა. ნეპალი აბსოლუტური მონარქიიდან კონსტიტუციურ-მონარქიულ წყობაზე გადავიდა. ნეპალელი კომუნისტები მეფის რეფორმებით უკმაყოფილონი დარჩნენ, და მონარქიის მთლიანი ლიკვიდაცია და ნეპალის რესპუბლიკად გამოცხადება მოითხოვეს. მონარქისტები, ცხადია, უარზე იყვნენ. დაპირისპირებამ ხანგრძლივი სამოქალაქო ომი გამოიწვია, რომელიც 1996-დან 2006 წლამდე გაგრძელდა. ქვეყანა ორ ნაწილად გაიყო: კომუნისტ-მაოისტებად და მეფის მხარდამჭერ გუნდად. ომმა 18-ათასი ადამიანი შეიწირა. 150 ათასი იძულებული გახდა, საცხოვრებელი ადგილი დეტოვებინა.

2001 წლის პირველი ივნისის ტრაგიკული ინციდენტის გამო, ნეპალი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა: სამეფო სასახლეში, ტახტის მემკვიდრე დიპენდრამ, თითქმის, მთელი სამეფო ოჯახი ამოხოცა და თავი მოიკლა. მკვლელობის ოფიციალურ მოტივად დიპენდრას საცოლის გარშემო წარმოქმნილი საოჯახო კამათი დასახელდა. 2006 წელს, სამოქალაქო ომით დაღლილი მეფე გიანენდრა იძულებული გახდა, კომუნისტების ულტიმატუმს დათანხმებოდა. მონარქი 2007 წელს გადადგა და ნეპალი ფედერაციულ-დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა. 2008 წელს, ნეპალში პირველი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, რომელშიც კომუნისტურმაოისტურმა პარტიამ, პრაჩანდას ლიდერობით, გაიმარჯვა. პრაჩანდა, იგივე, პუშპა-ქამალ-დაჰალი ნეპალის 63 პრემიერ-მინისტრი გახდა. ერთი წლის შემდეგ, ნეპალის ჯარის გენერალიტეტთან დაპირისპირების გამო, იგი თანამდებობიდან გადადგა. პრაჩანდა 19 ათასი ძველი კომუნისტი მებრძოლის ნეპალის სამხედრო ძალებში ჩარიცხვას მოითხოვდა. გენერალიტეტი კი, კატეგორიულ უარზე იყო. პრაჩანდას თქმით, მან თანამდებობა დატოვა იმიტომ, რომ ქვეყანაში ახალი სამოქალაქო ომი არ გაჩაღებულიყო.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში, პრაჩანდას პარტიამ მეორე ადგილი დაიკავა. პირველზე, პარტია ნეპალის-კონგრესი გავიდა. მოგვიანებით, ამ ორმა პოლიტიკურმა ძალამ მმართველი კოალიცია შექმნა. პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე, როტაციის წესით, ჯერ, პრაჩანდა იყო, შემდეგ კი, ნეპალის-კონგრესის ლიდერი. 2022 წლის საპარლამენტო არჩევნებში, ვერცერთმა პარტიამ უმრავლესობა ვერ მოიპოვა. ამიტომ, ნეპალის პრეზიდენტმა პუშპა-ქამალ-დაჰალს ფართო სამთავრობო კოალიციის შექმნა დაავალა, რომელმაც თავის კოალიციაში შვიდი პარტიის გაერთიანება მოახერხა. შედეგად, ის ნეპალის 74-ე პრემიერ-მინისტრი გახდა. პუშპა-ქამალ-დაჰალი ქვრივია. მისი მეუღლე ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა. ისინი დაქორწინდნენ, როცა პუშპა, ჯერ კიდევ, 15 წლის ბიჭი იყო. წყვილს ოთხი გოგონა შეეძინათ. ერთ-ერთი, პოლიტიკოსი გახდა და ამჟამად ნეპალის ქალაქ ბჰარაპტურის მერია.



**ნუგზარ ბ. რუხაძე,**
POSTV

---

# დავით კუხალაშვილი: შესაძლოა, უკრაინამ, როგორც სახელმწიფომ, არსებობა შეწყვიტოს!

(მეხუთე გვერდიდან) **„კოორდინირებული დაგეგმვა. რა თქმა უნდა, შეტევის რესურსი უკრაინელებსაც გააჩნიათ და რუსულ საოკუპაციო ძალებსაც. ამ ეტაპზე ძალთა ბალანსი არის თანაბარი – ორივეს აქვს, კონტრშეტევის განხორციელების შანსი. უკრაინას აქვს შანსი, რომ დაგეგმოს და განახორციელოს კონტრშეტევა, მაგრამ როგორ დაგეგმავენ და როგორ გააკეთებენ ამას, ეს სხვა საკითხია. ვიმეორებ, პოტენციალი და საშუალება უკრაინის ხელისუფლებას და შეიარაღებულ ძალებს გააჩნია.**

**ახალი კონტრშეტევა იქნება თუ არა წარმატებული, არსებული წარუმატებლობის ფონზე, მიჭირს ამაზე საუბარი – სპეციფიკის საკითხია. სამხედრო დონეზე ამის განხილვა ცოტა რთულია ამ ეტაპზე, მაგრამ თავისუფლად შეიძლება სხვადასხვა გარკვეული ფრონტის მიმართულებით კონტრშეტევაზე გადასვლა. რუსებსაც არ აქვთ კარგი სიტუაცია ხერსონი-ზაპოროჟიეს ფრონტის ხაზებზე. მათ შეძლეს დონბასის, ლუგანსკის და ხარკოვის მიმართულებით ე.წ. სუროვიკინის თავდაცვითი ხაზის შექმნა და სულ ეს არის. სხვა მიმართულებით საკმაოდ მყიფე პოზიციები აქვთ. ასე რომ, იქ სავსებით შესაძლებელია ახალი შეტევის განხორციელება. როგორ განახორციელებს უკრაინის შეიარაღებული ძალები შეტევას, ამას ვერ გეტყვით, მაგრამ პოტენციალი და საშუალება უკრაინელებს გააჩნიათ“,** – აცხადებს **მაისია.**

როგორც სამხედრო ექსპერტი ამბობს, უკრაინელების მიერ წარუმატებელმა კონტრშეტევამ ვითარება ვერ შეცვალა, სიტუაცია თანაბარია და გარკვეული მიმართულებით უკრაინის შეიარაღებულ ძალებს გარკვეულ პარამეტრებში მეტი წარმატება აქვს, ვიდრე რუსეთის საოკუპაციო ძალებს.

**„არაფერს არ ნიშნავს ის, რომ ამ წელს უკრაინელებს ჰქონდათ ჩავარდნა, მანამდე სულ რუსებს ჰქონდათ ჩავარდნა. უკრაინელებმა შეძლეს და კიევის სამხედრო საფრთხე გადაწიეს, შეძლეს სახელმწიფო საზღვრების აღდგენა, განსაკუთრებით ჩრდილო დასავლეთის მიმართულებით, რაც საკმაოდ დიდი მიღწევაა – ხარკოვი დაიცვეს და მოუხსნეს პირდაპირი სამხედრო საფრთხე.**

**რუსებმა წაიწიეს ხერსონისა და ზაპოროჟიეს მიმართულებით, თუმცა ვერ შეძლეს, რომ დიდი ტერიტორია დაეკავებინათ. სიტუაცია არის თანაბარი, ამიტომ უკრაინელებს აქვთ საკმაოდ კარგი კარტ-ბლანში, მაგრამ როგორ გამოიყენებენ, ეს მათზეა დამოკიდებული“,** – ამბობს For.ge-სთან საუბრისას **ვახტანგ მაისაია.**

* * *

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **დავით კუხალაშვილი** არ გამორიცხავს, რომ ახალი კონტრშეტევის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია გარკვეულ დეზინფორმაციულ ხასიათს ატარებდეს, რომლის დანიშნულება იყოს დემორალიზაციის ფონის ნეიტრალიზება, რომელიც უკრაინის ხელისუფლებაში შეიარაღებულ ძალებში და საერთოდ, საერთაშორისო საზოგადოებაში დამკვიდრდა მას შემდეგ, რაც დაფიქსირდა აშშ-ს ხელისუფლების ოფიციალური უარი საბრძოლო მოქმედებებში უკრაინის დახმარების შესახებ.




**„მეორე ვერსიად შესაძლებელია განვიხილოთ გარკვეული ფინანსური, სამხედრო და კრიმინალური ჯგუფების გაერთიანება. ჩვენ ვიცით, რომ არსებობს ორი ტიპის დახმარება, ეს შეიძლება იყოს ლეგალური და არალეგალური. ამ შემთხვევაში, როდესაც აშშ იძულებული გახდა, რომ ლეგალურ დახმარებაზე უარი ეთქვა, შესაძლებელია, რომ გარკვეულმა წრეებმა მნიშვნელოვანი დახმარება განახორციელონ უკრაინასთან მიმართებაში. ეს არის ვერსიების დონეზე, თუმცა რეალობის დაზუსტება ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ ძალიან გაგვიჭირდება.**

**ფაქტი სახეზეა – აშშ-ის აღნიშნული დამოკიდებულება, ალბათობის მაღალი ხარისხით, უკავშირდება იმ მოვლენებს, რაც მსოფლიოში ვითარდება. ეს არის მსოფლიოს ახალი გადანაწილების პროცესი და ვფიქრობ, რომ უფრო მაღალი ფსონი არის დადებული გარკვეულ გეოგრაფიულ მონაკვეთებზე, სადაც აშშ-ის კონტროლის ღირებულება უფრო მაღალია, ვიდრე უკრაინის. ამიტომ, თუ მოვლენები ასე განვითარდა, ვფიქრობ და არსებობს იმის ალბათობა, რომ ზოგადად, უკრაინამ, როგორც სახელმწიფომ, არსებობა შეწყვიტოს და მისი ტერიტორიების გადანაწილება მოხდეს არა მარტო რუსეთის ფედერაციის, არამედ განსაკუთრებით სხვა მეზობელი სახელმწიფოების მიერ. მათ ასეთი პრეტენზიები შესაძლებელია უკვე აქვთ კიდევაც“,** – ამბობს **კუხალაშვილი.**

რაც შეეხება არალეგალურ გზას, დავით კუხალაშვილის განცხადებით, ეს არის გარკვეული ფინანსური და სამხედრო წრეები, რომლებიც შესაძლებელია ამ კონფლიქტში ჩაერთონ როგორც სპონსორები. ეს შეიძლება იყოს რიგ სახელმწიფოთა მონაწილეობითაც, მაგრამ, მისი თქმით, გადაფარული იყოს სწორედ კონკრეტული წრეების მიერ და ამ შემთხვევაში, ძირითადად, გამოყენებული იქნას შავი ხვრელებიდან მიღებული შემოსავლები, რომლებიც სპეციალურად იწყობა.

**„ამას აწყობენ უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახურები, რომ კონკრეტული აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური შემოსავლები მოხმარდეს ასეთი ტიპის კონფლიქტებში სხვადასხვა სახის მხარდაჭერას. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ამ ვერსიის გამორიცხვაც არ შეიძლება. ამიტომ, მე მაინც ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე უკრაინას კონტრშეტევის წამოწყება და წარმატების მნიშვნელოვანი საფუძვლები არ გააჩნია. ამაზე მეტყველებს ის ოპერატიული ვითარება, რომელიც არის უკრაინის შიგნით.**

**ის საერთაშორისო ვითარება, რომელიც თანამედროვე ეტაპზეა, წარმატებაზე ფიქრი ცოტა ზედმეტია. მით უმეტეს ასეთ არალეგალურ დახმარებას ყოველთვის აქვს თავისი დადებითი შედეგები, მაგრამ განსაკუთრებული შედეგი და წარმატების იმედი სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს მაშინ, როდესაც მის მიმართ გამოხატავენ ლეგალურ მხარდაჭერას, ეს იქნება პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა სახის დახმარება“,** – დასძინა **დავით კუხალაშვილმა.**

მოამზადა
**თამთა ქარჩავამ**



# ანდრეი ერმაკი ომით განადგურებულ უკრაინას ოლიგარქებს გადასცემს?

**„რეალურად გავლენიანი მოთამაშე უკრაინაში. ზელენსკის მარჯვენა ხელი ანდრეი ერმაკი ომით განადგურებულ უკრაინას ოლიგარქებს გადასცემს?“,** – ამ სათაურით სტატიას გამოცემა „ბიზნეს ინსაიდერი“ აქვეყნებს.

გამოცემა წერს, რომ სექტემბრის ბოლოს აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში საერთაშორისო ეკონომიკური საკითხების მაღალჩინოსანმა, მაიკ პაილმა მის უკრაინელ კოლეგებს გაუგზავნა ოთხგვერდიანი სამუშაო პროექტი, სადაც ჩამოთვლილია რეფორმები, რომლის შესრულებაც თეთრ სახლს სურს უკრაინისგან, რის სანაცვლოდაც გააგრძელებენ უკრაინის ფინანსურ მხარდაჭერას.

როგორც „ბიზნეს ინსაიდერი“ აღნიშნავს, სამუშაო პროექტის მიზანია, უკრაინამ შეაკავოს კორუფცია, რომელიც მმართველ მთავრობას ახასიათებს. რამდენადაც ცნობილია, წერილის ადრესატებს შორის პრეზიდენტის აპარატის უფროსი ანდრეი ერმაკიც იყო.

**„ბიზნეს ინსაიდერთან“ საუბრისას უკრაინის ანტიკორუფციული კოალიციის წარმომადგენელი დარია კალენიუკი აცხადებს, რომ 2022 წლის თებერვალში რუსეთის შემოჭრის შედეგად, ქვეყნის ეკონომიკა იმ ოლიგარქებისგან გათავისუფლდა, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1991 წელს გაჩნდნენ უკრაინაში. „მაგრამ ამის სანაცვლოდ, ანდრეი ერმაკი, რომელსაც ძალაუფლებით მოწამლულ ადამიანად მოიხსენიებს, ოლიგარქიის ახალ სისტემას ქმნის, რის სათავეშიც თავადაა“,** – აღნიშნავს კალენიუკი.

კალენიუკის თქმით, პრეზიდენტის აპარატის უფროსი, მოადგილეებისა და მინისტრების მეშვეობით, მანევრირებას ახდენს უკრაინის ეკონომიკის დიდ ნაწილზე, ისევე, როგორც მის სამართალდამცავ და უსაფრთხოების აპარატზე. **„ის არ აშენებს ძლიერ უკრაინას“,** – ამბობს კალენიუკი.

„ბიზნეს ინსაიდერი“ წერს, ხოლო თავად ერმაკი უარყოფს ბრალდებებს, თითქოს პრეზიდენტის ოფისს იყენებს უკრაინის ძარცვისთვის. უკრაინის პრეზიდენტის ოფისის მრჩეველი დარია ზარივნა აცხადებს, რომ მსგავსი ბრალდებები არის რუსეთის მიერ წარმოებული საინფორმაციო ომი უკრაინის ლიდერების წინააღმდეგ. „ბიზნეს ინსაიდერის“ ჟურნალისტი ასევე ესაუბრა უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ყოფილ მრჩეველ ალექსეი არესტოვიჩს, რომელიც აცხადებს, რომ ერმაკი ორმხრივი ადამიანია, ბოროტი და კეთილი ერთად. არესტოვიჩი ერმაკს „შავი პროპაგანდის“ ოსტატად მოიხსენიებს, რომელსაც საკუთარი კონკურენტების ჩამოშორება შეუძლია.

**„გამძაფრებული ნაციონალისტური ვნებების პირობებში ზოგი უარს ამბობს, ილაპარაკოს უკრაინის ოკუპანტის ენაზე. თუმცა, ერმაკი და ზელენსკი ერთმანეთს რუსულად ელაპარაკებიან“,** – უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ყოფილი მრჩეველი ამბობს არესტოვიჩი და ასევე აცხადებს, რომ ერმაკისა და მისი ადმინისტრაციის ქცევისა და მენეჯმენტის მოდელი სრულიად რუსულია. **„ისინი ყველა ადამიანს ჭადრაკის ფიგურებად მიიჩნევენ“,** – დასძენს არესტოვიჩი.



## ბოლო დახმარება უკრაინას

**თეთრ სახლში აცხადებენ, რომ კონგრესი თუ არ დაამტკიცებს უკრაინის დახმარების დაფინანსებას, მაშინ აშშ-ს თვის ბოლოს დაფინანსების მარაგი ამოეწურება,** – ამის შესახებ თეთრი სახლის უშიშროების საბჭოს სტრატეგიული კომუნიკაციების კოორდინატორმა, **ჯონ კირბიმ** განაცხადა. კირბის თქმით, ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია თვის ბოლომდე კიდევ ერთ დახმარების პაკეტს გამოუყოფს უკრაინას, მაგრამ ამის შემდეგ უკრაინის დაფინანსება შეწყდება.

**„ეს როდესაც გაკეთდება, ჩვენ აღარ გვექნება შევსების უფლებამოსილება და დაგვჭირდება კონგრესის დაუყოვნებლივი მოქმედება“,** – განაცხადა **კირბიმ.**

## ჰუსიტებს ბრძოლა გამოუცხადეს



**ჰუსიტების** მხრიდან წითელ ზღვაში სავაჭრო გემებზე გახშირებული თავდასხმების გამო, აშშ-ს თავდაცვის მდივანმა, **ლოიდ ოსტინმა** ოპერაციის დაწყების შესახებ განაცხადა, რომელიც მისი თქმით, ფოკუსირებული იქნება ადენის ყურესა და წითელ ზღვაში უსაფრთხოების გამოწვევებზე.

**„უგუნური იემენელი ჰუსიტების მხრიდან ბოლოდროინდელი ესკალაცია საფრთხეს უქმნის თავისუფალი ვაჭრობის ნაკადს, უდანაშაულო მეზღვაურებს და არღვევს საერთაშორისო კანონს“,** – ამბობს **ოსტინი.**

აშშ-ს თავდაცვის მდივანი მოუწოდებს ქვეყნებს, რომ „გაერთიანდნენ არასახელმწიფო აქტორის წინააღმდეგ.“ რამდენადაც ცნობილია, ოსტინის მიერ გამოცხადებულ ოპერაციაში მონაწილეობს დიდი ბრიტანეთი, ბაჰრეინი, კანადა, საფრანგეთი, იტალია, ნიდერლანდები, ნორვეგია, სეიშელის კუნძულები და ესპანეთი.

*საქმე № 01-10/189*

*დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა*

***მოპასუხე პაატა თურქიას საარბიტრაჟო სასამართლოს სხდომაზე***

***საჯაროდ მოწვევის შესახებ.***

*ქ. ბათუმი* — *18 დეკემბერი, 2023 წელი*

***შპს „აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟი“-ს***

***არბიტრი:*** *დავით კეკენაძე*

***საარბიტრაჟო მოსარჩელე:*** *შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ბერმელი“, ს/კ 245431108;*

***წარმომადგენელი:*** *ლანა ფარტენაძე (პ/ნ 61006076996), თანახმად მინდობილობისა ვადით 31.01.2024წ.;*

***საარბიტრაჟო მოპასუხე:*** *ფ/პ პაატა თურქია (პ/ნ 02001004695).*

***დავის საგანი:*** *კრედიტისა და გირავნობის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობის გამო თანხების მოპასუხეზე დაკისრება.*

*ერთპიროვნულად განვიხილე საარბიტრაჟო მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა* ***„მოპასუხე პაატა თურქიას საარბიტრაჟო სასამართლოს სხდომაზე საჯაროდ მოწვევის შესახებ.***

*ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი  ნ ა წ ი ლ ი:*

*2023 წლის 09 ოქტომბერს,* ***შპს „აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟი“-ს*** *არბიტრმა დავით კეკენაძემ მიიღო დადგენილება „საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღების და არბიტრაჟის კომპეტენციის ცნობის შესახებ“. არბიტრაჟის რამდენიმე მცდელობა მოპასუხეს ჩაბარებოდა საარბიტრაჟო სარჩელი და თანდართული დოკუმენტები, დასრულდა უშედეგოდ. ყველა დაზღვეული საფოსტო გზავნილი, იმ მისამართზე რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში, უკან დაბრუნდა.*

*გარდაა ამისა, მობილური ტელეფონით არბიტრაჟის თანამშრომელი არაერთხელ დაუკავშირდა მოპასუხე პაატა თურქიას და აცნობა საარბიტრაჟო სარჩელის შესახებ და მასალებთან ერთად მისი ჩაბარების აუცილებლობაზე, რაზეც მხარემ უარი განაცხადა.*

*ასევე, არბიტრაჟის თანამშრომელი დაუკავშირდა აბაშის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის თემის, სოფელ გაუწყინარის წარმომადგენელს ნესტორ ძიძიგურს (მობ.ტელ. 599855739), რომელმაც განმარტა, რომ პაატა თურქიას სოფლის მაცხოვრებელია, თუმცა დღეის მდგომარეობით ოჯახთან ერთად გადავიდა სხვა მისამართზე და მისი ადგილსამყოფელი უცნობია.*

*2023 წლის 4 დეკემბერს საარბიტრაჟო მოსარჩელეს წარმომადგენელმა არბიტრაჟს მომართა შუამდგომლობით* ***„საარბიტრაჟო სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხეზე ჩასაბარებლად მისი საჯაროდ მოწვევის შესახებ“,*** *რაც დაკმაყოფილდა.*

*2023 წლის 7 დეკემბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში (137-138 (9669-9670–) გამოქვეყნდა არბიტრაჟის დადგენილება, რომლითაც მოპასუხე ფ/პ პაატა თურქია (პ/ნ 02001004695) ვალდებული იყო, დადგენილების გამოქვეყნებიდან შვიდი კალენდარული დღის გამავლობაში გამოცხადებულიყო არბიტრაჟში, რაც მან არ შეასრულა. არბიტრაჟისათვის უცნობია მოპასუხის არბიტრაჟში გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი.*

*2023 წლის 18 დეკემბერს, საარბიტრაჟო მოსარჩელის წარმომადგენელმა არბიტრაჟს მომართა შუამდგომლობით* ***„მოპასუხე პაატა თურქიას საარბიტრაჟო სასამართლოს სხდომაზე საჯაროდ მოწვევის შესახებ“,*** *რაც უნდა დაკმაყოფილდეს, რამეთუ სხვა გზით შეუძლებელია მოპასუხის საარბიტრაჟო სასამართლოს სხდომაზე მოწვევა.*

*ვიხელმძღვანელე რა* ***„არბიტრაჟის შესახებ“*** *საქართველოს კანონის* ***მე-8; მე-16; 27-ე; 32-ე მუხლებით და საერთაშორისო არბიტრაჟის დებულების მე-13 მუხლის 1 და 6 პუნქტებით;***

*დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:*

1. *სამოქალაქო საქმეზე, №01-10/189, საარბიტრაჟო სარჩელზე მოპასუხე ფ/პ პაატა თურქია (პ/ნ 02001004695) საჯაროდ მოწვეული იქნეს საარბიტრაჟო სასამართლოს სხდომაზე საქმის არსებითად განხილვაზე დასასწრებად 2024 წლის 08 იანვარს, 11:30 საათზე, შპს „აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო არბიტრაჟში“ (ქ. ბათუმი, ახმედ. მელაშვილის ქ. № 26, მე-3 სართული).*
2. *საჯარო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ საქართველოს რესპუბლიკაში მოსარჩელე მხარის ხარჯით.*
3. *არბიტრაჟის დადგენილება საბოლოოა და არ საჩივრდება.*

***შპს „აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან***

***არსებული საერთაშორისო არბიტრაჟი“-ს***

*არბიტრი:* *დავით კეკენაძე*

◉ ჩემპიონთა ლიგა




# დიეგოს ნათება

**გაისად ბარსელონას დაარსებიდან 125 წელი სრულდება, საიუბილეო თარიღს კი კატალონიური გრანდი კრიმინალურ-კომერციული სკანდალითა და საკულტო სტადიონის – ნოუ კამპის რემონტით ხვდება, რის გამოც საშინაო მატჩებს დედაქალაქის ოლიმპიურ სარბიელზე – მონჟუიკზე ატარებს.**

ადრეულ გაზაფხულზე სწორედ იქ ითამაშებს ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მერვედფინალში ნაპოლი, თვით ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ევროტურნირი კი, როგორც მოგეხსენებათ, ამჯერად უკანასკნელად ეწყობა უკვე კარგად შეჩვეული ფორმატით და მომავალში ჯგუფური რაუნდი აღარ იქნება.

როგორც მოგეხსენებათ, თავისი ღვთაებრივი ევროპული კარიერა ფეხბურთის ღმერთმა დიეგო მარადონამ ბროწეულისფერი მაისურით დაიწყო და მხოლოდ შემდეგ გადაინაცვლა აპენინებზე, ამიტომ **ხვიჩა კვარაცხელია**, ძალაუნებურად, ეგრეთ წოდებული არგენტინული ტანგოს მონაწილე გახდება. ისიც სათქმელია, რომ, როგორც შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში მოწყობილმა წილისყრამ ინება, მეტოქეთა პირველ მატჩს შუა თებერვალში იტალია უმასპინძლებს.

მანამდე თითქმის ორი თვეა დარჩენილი, ამიტომ პროგნოზის გაკეთება ურთულესი საქმეა, თუმცა ხვიჩას რომ კიდევ ერთი შესანიშნავი შესაძლებლობა ეძლევა საკუთარი ტალანტის საქვეყნოდ წარმოსაჩენად, უდავო ფაქტია და ვიმედოვნებთ, ჩვენი იმედი საფუძვლიანი გამოდგება, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ ესპანეთის მეამბოხე პროვინციაში სამსჯავროზე წარდგენაზე ყველა ოცნებობს.

**დანარჩენი წყვილები:**

**პორტუ – არსენალი, ინტერი – ატლეტიკო, ლაციო – ბაიერნი, კოპენჰაგენი – სიტი, ლაიფციგი – რეალი, პარი სენ-ჟერმენი – სოსიედადი და ეინდჰოვენი – დორტმუნდი.**

# ორიოდე სიტყვით

### რაგბი



**როგორც** იქნა, საქართველოს რაგბის კავშირსა და 53 წლის **რიჩარდ კოკერილს** შორის შეთანხმება მიღწეულია და ბორჯღალოსანთა ახალი ინგლისელი მთავარი მწვრთნელის წარდგენა, სავარაუდოდ, დღეს შედგება.

დავძენთ, რომ აქამდე ნისლიანი ალბიონის მკვიდრის კარიერას ლესტერ ტაიგერსში, ედინბურგში, მონპელიესა და თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში გატარებული წლები ამშვენებს, სადაც გუნდის თავკაცის ასისტენტი გახლდათ.

### ჩოგბურთი

**შარმ ელ-შეიხი (ეგვიპტე).** 25 000-იანი საერთაშორისო ტურნირი. ერთეულები. **პირველი ადგილი** – მარიამ ბოლქვაძე.

### ფეხბურთი

**ხუთწლიანი** პაუზის შემდეგ უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა ფოთის კოლხეთი, სადაც ადგილი სამტრედიამ შეინარჩუნა.

ამასობაში გაირკვა მსოფლიოს ახალი საკლუბო თასის მონაწილეთა ვინაობა, რომელსაც 2025 წელს 15 ივნისიდან 13 ივლისამდე აშშ უმასპინძლებს. ევროპის კვოტა 12 ადგილია და უკვე ცნობილია, რომ იგი შეავსეს ჩელსიმ, რეალმა, სიტიმ, ბაიერნმა, პარი სენ-ჟერმენმა, ინტერმა, პორტუმ, ბენფიკამ და მიმდინარე ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულმა, დანარჩენი 3 რჩეული კი მოგვიანებით რეიტინგით დაზუსტდება. დანარჩენები: ალ აჰლი, ვიდადი, ალ ჰილალი, ურავა, მონტერეი, სიეტლი, ლეონი, ოკლენდი, პალმეირასი, ფლამენგო, ფლუმინენსე, სულ – 32 გუნდი.



### ძიუდო

**პრიშტინა (კოსოვო).** ევროპის პირველი ღია ჩემპიონატი. 57 კგ. **ოქრო** – ეთერ ლიპარტელიანი. აღსანიშნავია, რომ ნახევარფინალში 24 წლის ჯვაროსანმა მასპინძელთა ოლიმპიური ჩემპიონი ნორა ჯიაკოვა შებოჭა.




# „თეატრი და მსახიობობა რომ არ არსებულიყო, რამაზი მოიგონებდა ამ პროფესიას“

## რუსთაველის თეატრში რამაზ ჩხიკვაძე გაიხსენეს

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით რუსთაველის ეროვნული თეატრის დიდ დარბაზში საქართველოს სახალხო არტისტის, რამაზ ჩხიკვაძის, საიუბილეო საღამო გაიმართა. მსახიობის დაბადებიდან 95 წელი გავიდა.**

ღონისძიებას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დამფუძნებელი და ქართული კულტურის დიდი მოამაგე ბიძინა ივანიშვილი მეუღლესთან ერთად, რამაზ ჩხიკვაძის კოლეგები, მეგობრები და ოჯახის წევრები, საზოგადოების თვალსაჩინო წევრები, სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ, – ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს.

საიუბილეო საღამოზე მაყურებლის წინაშე გაცოცხლდა გენიოსი მსახიობის უნიკალური გარდასახვის უნარი და მისი ცხოვრებიდან არაერთი ღირსშესანიშნავი მომენტი.

წარმოადგინეს უნიკალური ჩანაწერები და უნიკალური სპექტაკლებიდან აღდგენილი ეპიზოდები. საარქივო ფოტოები, ისტორიული კადრები, კოსტიუმები, ესკიზები, მეგობრებისა და კოლეგების მოგონებები.

გამოყენებული იყო პირველი არხის ოქროს ფონდში დაცული უნიკალური მასალები.

„ღონისძიებაში მონაწილეობდნენ – მაესტრო ნიკა ნიკვაშვილი, რუსთაველისა და მოძრაობის თეატრის მსახიობები; საღამოს უძღვებოდა ნიკოლოზ წულუკიძე.

**„თეატრი და მსახიობობა რომ არ არსებულიყო, რამაზი მოიგონებდა ამ პროფესიას და გახდებოდა მსახიობი, მხოლოდ და მხოლოდ მსახიობი“,** – იტყვიან მისი მეგობრები წლების შემდეგ – ეს სიტყვები სრულად გამოხატავს დიდი არტისტის – რამაზ ჩხიკვაძის, შემოქმედების არსს. მსახიობისა, რომელმაც უნიკალური კვალი დატოვა ქართული თეატრის ისტორიაში.

რამაზ ჩხიკვაძე 1951 წლიდან, თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული თეატრის მსახიობი იყო, სადაც არაერთი შთამბეჭდავი სცენური სახე შექმნა, მათ შორის: ლეანდრო (ჯ. ფლეტჩერის „ესპანელი მღვდელი“), ვეფხია გაბიდაური (კ. ბუაჩიძის „ამბავი სიყვარულისა“), ქოსა მრჩეველი (გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა“), მაქჰითი, მეტსახელად მექი-დანა (ბ. ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა“), თედო (მ. ელიოზიშვილის „ბებერი მეზურნეები“), ფადინარი (ე. ლაბიშის „ჩალის ქუდი“), აკოფა (ა. ცაგარელის „ხანუმა“), კირილე მიმინაშვილი (დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“), შოშია (ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“) და სხვა.

მსახიობის შემოქმედებაში ახალი ეტაპი იყო რეჟისორ რობერტ სტურუას დადგმებში მონაწილეობა. მან მთავარი როლები ითამაშა სპექტაკლებში: პ. კაკაბაძის „ყვარყვარე“ (ყვარყვარე), ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“ (აზდაკი), უ. შექსპირის „რიჩარდ მესამე“ (რიჩარდ მესამე) და „მეფე ლირი“ (ლირი). ამ როლებმა ხელოვანს საერთაშორისო აღიარება მოუტანა.

რამაზ ჩხიკვაძემ ბოლო სცენური სახე (ედგარი) „თეატრალურ სარდაფში“ შექმნა, ა. სტრინდბერგის პიესაში „სიკვდილის როკვა“ (რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი).

მსახიობმა ბევრი სახასიათო და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართულ კინოშიც. იგი მონაწილეობს ფილმებში: „ჭრიჭინა“ (1954), „დღე პირველი, დღე უკანასკნელი“ (1959), „წარსული ზაფხული“ (1959), „ლონდრე“ (1966), „ვედრება“ (1967), „ნუცა“ (1971), „სამკაული სატრფოსთვის“ (1971), „ნერგები“ (1972), „მთვარის მოტაცება“ (1973), „ვერის უბნის მელოდიები“ (1973), „ბებერი მეზურნეები“ (1973), „ერთი ნახვით შეყვარება“ (1975), „ჩირიკი და ჩიკოტელა“ (1975), „სოფლის აშიკი“ (1976), „ნატვრის ხე“ (1976), „XIX საუკუნის ქართული ქრონიკა“ (1978), „ნაზარის უკანასკნელი ლოცვა“ (1988), „აშუღ-ყარიბი“ (1988), „თეთრი ბაირაღები“ (1990), „ამხანაგ სტალინის მოგზაურობა აფრიკაში“ (1991), „მიდიოდა მატარებელი“ (2005) და სხვა.

გამოჩენილი მსახიობის შემოქმედებისთვის დამახასიათებელი იყო მკაფიო თვითმყოფადობა, დიდი შემოქმედებითი ფანტაზია და გარდასახვის საოცარი უნარი.

რამაზ ჩხიკვაძის სამსახიობო ოსტატობა არაერთი პრემიითა და ჯილდოთი აღინიშნა. იგი იყო საქართველოს დამსახურებული არტისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის, სსრკ-ის და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი. მოსკოვის მსოფლიოს კინოფესტივალზე (1973) მიიღო ოქროს მედალი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის. 1997 წელს გახდა თბილისის საპატიო მოქალაქე, 1998 წელს კი, ქართული თეატრალური და კინოხელოვნების განვითარებასა და მის პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის, ასევე, ნაყოფიერი და აქტიური შემოქმედებითი საქმიანობისთვის დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

2006 წლის 28 თებერვალს რუსთაველის თეატრის წინ რამაზ ჩხიკვაძის ვარსკვლავი გაიხსნა.

# ინოლა გურგულიას უკვდავება

## „ოცნება თუ სინამდვილე“ მოზარდ მაყურებელთა თეატრში

**ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრში, საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, მუსიკალური წარმოდგენის – „ოცნება თუ სინამდვილე“ პრემიერა გაიმართა, რომელიც გამოჩენილი ქართველი ავტორ-შემსრულებლის, მუსიკოსის, პოეტისა და მთარგმნელის, ინოლა გურგულიას ამავე სახელწოდების კინოსცენარის მოტივებზე შეიქმნა.**

ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო. სპექტაკლი ინოლა გურგულიას დაბადებიდან 95-ე წლისთავს მიეძღვნა.

**პროექტის მუსიკალური ხელმძღვანელია, კომპოზიტორის ქალიშვილი, მსახიობი და მომღერალი ია შუღლიაშვილი, დამდგმელი რეჟისორი და ინსცენირების ავტორია დიმიტრი ხვთისიაშვილი, მხატვარი – ნინო ჩიტაიშვილი, ქორეოგრაფი - გია მარღანია, სპექტაკლის ანიმაცია ინოლა გურგულიას ესეს „ზღაპრის“ მიხედვით ანდრია მაისაშვილმა შექმნა. სიმღერების საორკესტრო ვერსიების ავტორია მუსიკოსი თემურ მაისაშვილი. სპექტაკლში მონაწილეობენ როგორც მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობები, ისე ბავშვები, მათ შორის, ინოლა გურგულიას შთამომავლები.**



# ფარმაცევტული კომპანიები წამლების ფასს ხელოვნურად ზრდიან!



**ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, მედიკამენტები, რომლებზეც რეფერენტული ფასი ჯერ არ მოქმედებს, აფთიაქებში, იმპორტის ფასთან შედარებით, 32-ჯერ ძვირად, ზოგ შემთხვევაში 1000%, 2000% და 3000%-იანი ფასნამატით იყიდება.**

**„აღსანიშნავია ისიც, რომ მედიკამენტებს, დიდ ფარმაცევტულ ქსელებში, თითქმის, იდენტური ფასი აქვს. ჭარბი ფასნამატი და ფასების ერთმანეთთან თანხვედრა, აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ ადგილი აქვს ფარმაცევტულ კომპანიებს შორის არაკეთილსინდისიერ შეთანხმებას და დომინირებული მდგომარეობის არასათანადოდ გამოყენებას.**

**ჯანდაცვის სამინისტროსთვის მიუღებელია წამლების ფასის ხელოვნური ზრდა. არსებული არასამართლიანი ფასებითა და არაჯანსაღი კონკურენციით, სექტორი მაქსიმალური მოგების უზრუნველყოფის მიზნით, აზარალებს მოქალაქეებს. ნათელია, რომ მედიკამენტებზე არ ხდება თავისუფალი ფასწარმოქმნა, ბაზარზე მოქმედ დიდ ეკონომიკურ აგენტებს შორის, შეთანხმების საფუძველზე კი - იზღუდება ჯანსაღი კონკურენცია.**

**მსხვილი ფარმაცევტული კომპანიების მიერ, წარმოებული საფასო პოლიტიკა კარტელური გარიგების ნიშნებს შეიცავს. შესაბამისად, საკითხის შესწავლის მიზნით, ჯანდაცვის სამინისტრო კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს მიმართავს, რომელსაც ყველა საჭირო დოკუმენტს გადასცემს.**

**საზოგადოების ინფორმირებისთვის განვმარტავთ, რომ აღნიშნულ მედიკამენტებზე, უახლოეს მომავალში, სახელმწიფო სამართლიან, რეფერენტულ ფასებს (ფასის ზედა ზღვარს) დააწესებს, რომელზე მაღალ ფასადაც მათი გაყიდვა აიკრძალება“,** – აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# თაღლითურ სქემაში ორსული ქალების ჩართეს

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენების გზით, სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტებზე, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიეცა ექვსი პირი, რომელთაგან ოთხი მეწარმე სუბიექტია, ხოლო ორი – კომპანიის ბუღალტერი.**




გამოძიებით დადგინდა, რომ დეკრეტულ შვებულებაში მყოფ მოქალაქეებზე გათვალისწინებული ფულადი დახმარების მოტყუებით დაუფლების მიზნით, ბრალდებულები, **2020-2022 წლებში, წინასწარ მოფიქრებული სქემის მიხედვით, დანაშაულებრივ გარიგებაში შევიდნენ ორსულ ქალებთან და ფიქტიურად გააფორმეს ისინი მათ მმართველობაში არსებულ საწარმოებში, რის შემდგომაც დაამზადეს ყალბი დოკუმენტები, რომელთა გამოყენებითაც, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ფიქტიურად დასაქმებული 111 პირმა მიიღო ორსულებისთვის გამოყოფილი ერთჯერადი ფულადი დახმარება – ჯამში 111 000 ლარის ოდენობით, რომელიც განაწილდა ბრალდებულებსა და ორსულ ქალებს შორის.**

ტარდება შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნულ დანაშაულებრივ ქმედებაში მონაწილე სხვა პირთა დადგენა-მხილების მიზნით.

# ზურა შევარდნაძის მეგობრები ეთნოგრაფიულ მუზეუმს „შეესივნენ“!

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე, 2000-მდე ბროწეულის, რაჭული კაკლის, კავკასიური ცაცხვის, ბამბუკის, თხილის, შინდის, ვარდის და ვაზის ნერგი დაირგო.**

ნერგების დარგვაში, ფოლკლორულმა ანსამბლებმა „დიდგორმა“, „მართვემ“ და თბილისის 181-ე სკოლის მე-6 და მე-3 კლასის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა. პროცესში ჩართულები იყვნენ მებაღე ზურა შევარდნაძე და ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი ნინო ჭიპაშვილი.

მუზეუმის ტერიტორიის თხილის და შინდის ხეებით განაშენიანების შედეგად, მომავალში მუზეუმს წნული ღობეების და ნალიების რეაბილიტაციისთვის მასალის ყიდვა აღარ დასჭირდება. სარეაბილიტაციო სამუშაოებს საკუთარი რესურსით უზრუნველყოფს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვნად დაზოგავს მუზეუმის ფინანსურ რესურსებს და სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესს გაამარტივებს.

მუზეუმის ახალი ნერგებით განაშენიანების პროცესს, კოორდინაციას უწევს დეკორატიული მცენარეების სანერგე „გარდენია შევარდნაძე“ ზურა შევარდნაძის ხელმძღვანელობით.

ეთნოგრაფიული მუზეუმის გამწვანების პირველი ეტაპი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით 2022 წლის შემოდგომაზე დაიწყო. მუზეუმის მთელ ტერიტორიაზე 7000 ძირი ნუშის, იასამნისა და კვიდოს ნერგი უკვე დაირგო.



## სანთელი

# თემურ ხაზარაძე

ვიტალი ხაზარაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ხაზარაძეთა საგვარეულოს გამორჩეული შვილი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, უიშვიათესი პიროვნული თვისებებით – კეთილშობილებით, მიმტევებლობით, სიდინჯით, უბრალოებით, ჭირთათმენით გამორჩეული პიროვნება, ჭეშმარიტი პატრიოტი და მამულიშვილი

# თემურ ივანეს ძე ხაზარაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს და სრულიად საქართველოს. ღმერთმა მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს მის სულს!

# ხანძარი თბილისის სასტუმროში

**თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩაზე, სასტუმროს ერთ-ერთ სართულზე ცეცხლი გაჩნდა. თვითმხილველების ინფორმაციით, პირველ სართულზე მდებარე საუნა სარემონტო იყო და არ ფუნქციონირებდა.**



შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. სტუმრების ევაკუაცია ოპერატიულად განხორციელდა. სასტუმროს მენეჯერის თქმით, ადმინისტრაციამ, უსაფრთხოების მიზნით, სტუმრები სხვა სასტუმროში გადაიყვანა.

ადგილზე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 10 ეკიპაჟი იყო მობილიზებული. ცეცხლი სასტუმროს სხვა სართულებზე არ გავრცელებულა და მალევე ჩააქრეს.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი

გადაწყვეტილება

არბიტრაჟის სახელით

საქმე №01-895/2019

ქ. თბილისი 24 მაისი, 2023 წელი

**საარბიტრაჟო სხდომის თავმჯდომარე -** მამუკა ღვინიაშვილი

**მოსარჩელე -** ს/ს ,,ბაზისბანკი"
(ს/ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯიას" უფლებამონაცვლე)

**მოპასუხე -** თამარ საკანდელიძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**საქმის განხილვის ფორმა**: ზეპირი მოსმენის გარეშე

**ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო   ნ ა წ ი ლ ი :**

ვიხელმძღვანელე საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-2, მე-9, 28-ე მუხლებით და

**გ ა დ ა ვ წ ყ ვ ი ტ ე :**

1. ს/ს „ბაზისბანკის" საარბიტრაჟო სარჩელი დაკმაყოფილდეს.
2. თამარ საკანდელიძეს ს/ს „ბაზისბანკის" სასარგებლოდ დაეკისროს 5983,35 ლარის გადახდა, საიდანაც ძირითადი თანხაა 3806,49 ლარი, საპროცენტო სარგებელი 376,69 ლარი, პირგასამტეხლო 1800,17 ლარი.
3. თამარ საკანდელიძეს ს/ს „ბაზისბანკის" სასარგებლოდ დაეკისროს საარბიტრაჟო მოსაკრებლის 299,16 ლარის გადახდა.
4. გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოტანის მომენტიდან.

პოეტის ერთი ლექსი



# ხორნაბუჯი

## „მზის ტაძარი“, „მზის საყრდენი“

მზის სადარი თამარ მეფის სახელდების
დედაბურჯი
და თავადაც მზის სადარად წოდებული
ხორნაბუჯი,
კამბეჩოვან — კამბისინეს დაბა ბუდი,
შირაქის ველს აგებული
ეს მზის ბურჯი
და ქიზიყის გულისგული
ხორნაბუჯი!

მონღოლთ მიერ დაცემული
და ერეკლეს ძლიერებით
ხელმეორედ დაძლეული,
ამ კლდის ქიმზე
კლდის ლომივით აწეული,
მზისკენ მზერი, მზის საყრდენი
ერის ბურჯი!



კახეთის და სრულად ქართლის
დასაცავად
მთის მწვერვალზე ამართული
ეს მრისხანე ციხე-ბურჯი,
ჩემი მიწის სიამაყე
ეს ბებერი და უკვდავი
ხორნა... ბუჯი!

**ქეთევან გოდერძიშვილი,**
ენათმეცნიერი-ონომასტიკოსი

**მუდამ მაძიებელსა და ფუტკარივით მშრომელ ქალბატონს, ცნობილ ენათმეცნიერსა და ონომასტიკოსს, მრავალი ერთობ საგულისყურო სამეცნიერო-პოპულარული წიგნების ავტორს, პოეტსა და პუბლიცისტს**

## ქეთევან გოდერძიშვილს

**22 დეკემბერს დაბადების დღე აქვს. გულწრფელად ვულოცავთ მას საიუბილეო თარიღს და მრავალჟამიერ სიცოცხლეს ვუსურვებთ. მრავალ 22 დეკემბერს და მრავალ ახალ წელს მოესწარით, ქალბატონო ქეთევან!**

# მსოფლიოში სანტა კლაუსის გზავნილი ლაპლანდიიდან

**საშობაო მოგზაურობის დაწყებამდე, სანტა კლაუსი ლაპლანდიიდან მსოფლიოს მოსახლეობას მიმართავს. მშვიდობა და ბავშვების კეთილდღეობა მსოფლიოში** — ასეთია სანტა კლაუსის მთავარი საშობაო სურვილები.

**„ეს წელი იყო საკმაოდ მღელვარე. და ისე ჩანს, თითქოს ადამიანებმა უკვე დაივიწყეს ძალიან მნიშვნელოვანი რაღაცეები, მაგალითად, მეგობრობა. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მსოფლიოში არის ბავშვების კეთილდღეობა. ბავშვების კეთილდღეობა მთელი წლის განმავლობაში ყველა ჩვენგანის მიზანი უნდა იყოს. კარგი იქნება, გვახსოვდეს, რომ მეგობრობა და საშობაო განწყობა შეგვიძლია, ვიპოვოთ ერთ ადგილას — ჩვენს გულებში. ჩვენ ყველას შეგვიძლია გავაკეთოთ ისე, რომ ჩემი სურვილი ახდეს.**

**ჩემი უდიდესი სურვილია, რომ მთელს მსოფლიოში ადამიანებს შეეძლოთ ერთად მშვიდობიანად ცხოვრება. დროა, ვუთხრათ ყველას — შობას გილოცავთ და ბედნიერ და უკეთეს ახალ წელს გისურვებთ“,** — განაცხადა სანტამ.



სანტას ტრადიციული მიმართვა ლაპლანდიის საშობაო სოფელ როვანიემიდან ყოველწლიურად, შობის წინ ვრცელდება. ყოველწლიურად სანტა ლაპლანდიაში დაახლოებით, ნახევარ მილიონ წერილს იღებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან.

# რა ღირს „მოკრძალებული“ ნაძვის ხე?



**დიდ ბრიტანეთში, აუქციონზე 1920 წელს ნაყიდი ნაძვის ხე 4 328 დოლარად გაყიდეს.**

ნაძვის ხე დოროთი გრანტის სახლში, ლესტერშირში 1920 წელს მიიტანეს, როდესაც გოგო 8 წლის იყო. დოროთი ნაძვს სიცოცხლის ბოლომდე ინახავდა, შემდეგ კი საშობაო ატრიბუტი მის 84 წლის ქალიშვილს, შირლი ჰოლს გადაეცა მემკვიდრეობით. ქალმა ხის გაყიდვა გადაწყვიტა. ხის სიმაღლე 79 სანტიმეტრამდეა, მას 25 ტოტი აქვს, რომლებზეც 12 კენკრა და 6 მინი-შანდალია განთავსებული. აუქციონის სახლმა ჰანსონს Hansons Auctioneers „მსოფლიოს ყველაზე მოკრძალებული ნაძვის ხე“ უწოდა და სულ რაღაც 76-102 დოლარად შეაფასა, თუმცა დიდი აჟიოტაჟის გამო, ის გაცილებით ძვირად გაიყიდა.

# დიდი ბრიტანეთი სანტა კლაუსების დეფიციტს განიცდის

**დიდ ბრიტანეთში პროფესიონალი სანტა კლაუსების რაოდენობა ორი მესამედით შემცირდა.**

ეს დასკვნა სადაზღვევო კომპანია Simply Business-ის მონაცემებზე დაყრდნობით ქვეყნდება, რომელიც პროფესიონალ სანტებს დაზღვევით უზრუნველყოფს. მათი ცნობით, გასულ წელთან შედარებით გაყიდული პოლისების რაოდენობა 33%-ით შემცირდა. ბიზნესში დარჩენილი სანტების განრიგი კი 2025 წლამდე უკვე გაწერილია.

სპეციალისტები დეფიციტის რამდენიმე მიზეზს ასახელებენ: პანდემიას, ვეტერანი სანტების პენსიაზე გასვლას და დიდი საშობაო ღონისძიებების ნაკლებობას. მათი განმარტებით, კოვიდის დროს, როდესაც შეზღუდვები მოქმედებდა, პროფესიონალი სანტების ნაწილმა სხვა სფეროებში გადაინაცვლა, ნაწილი კი პენსიაზე გავიდა, რამაც ბუნებრივი „ჯაჭვი“ დაარღვია.

ამასთან, სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ბოლო დროს ქვეყანაში სხვა საშობაო პერსონაჟების პოპულარობა იზრდება, ყველაზე მეტად კი გრინჩის.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 — ახალი
„საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს
რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 22 დეკემბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6822; ევრო - 2.9338;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4064;
100 რუბლი - 2.9157; თურქული ლირა - 0.0922;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5752;
1000 სომხური დრამი - 6.6055

**ამინდი 20 დეკემბრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | -2, | დღე +12 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -6, | დღე +12 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +4, | დღე +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -2, | დღე +17 |
| თბილისი: | ღამე | -1, | დღე +10 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge